საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 19 დეკემბერი, 2014 წელი.

№256 (7637)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბჭობის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

მძიმე თემა...

მოსაძებნი და დასაპატიმრებელია ოთარ ჩამაგუა. სოფელ ბაღმარანის კომენდანტად როგორც კი დაინიშნა, ამ არაკაცმა მოკლა საკუთარი ქართველი ცოლი, ერთადერთი ბავშვი და სიდედრი. ამის მერე თანასოფლელებს, მეზობელ ქართველებს დაერია...

ეროვნული ხასიათი, მეხსიერება და... ③

ალეკო ელისაშვილი: მშენებლობებზე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს ②

ემზარ ჯგერენაია: როგორ აისახება რუსული ეკონომიკის კრახი საქართველოზე? ⑧

ლეო ბოკერია - 75

⑤ მსოფლიო მედიცინის სიამაყე

გააჩერეთ ეს ცრუპენტელა ექს-პრეზიდენტი!

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ყოფილ ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის დიპლომატიური პასპორტების გაუქმების შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ. „ინტერპრესნიუსმა“ საგარეო უწყებაში ყოფილი პრეზიდენტის მიერ სტრასბურგში ჟურნალსიტებთან გაკეთებული განცხადება გადაამოწმა, სადაც მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ საპრეზიდენტო პასპორტი გაუუქმეს.

„მიხეილ სააკაშვილს აქვს მოქმედი დიპლომატიური პასპორტი“, — განაცხადეს საგარეო უწყებაში.

უწყებაში განმარტავენ, რომ ცალკე საპრეზიდენტო პასპორტები არ არსებობს.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას საპრეზიდენტო პასპორტი გაუუქმეს.

მისი თქმით, საპრეზიდენტო პასპორტი საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუუქმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პასპორტი მთელი ცხოვრება ეკუთვნოდა.

„მე ჩამოვედი სტრასბურგში მიუხედავად იმისა, რომ ავიაკომპანიაში მითხრეს, თურმე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩემი საპრეზიდენტო პასპორტი გაუუქმებია. თუმცა, კანონით პრეზიდენტს ეკუთვნის მთელი ცხოვრება ეს პასპორტი. აეროპორტის თანამშრომლებმა უბრალოდ გამიღიმეს და მითხრეს — ნუ, რას ვიზამთ, ასეთი მთავრობა გყავთ, შეგიძლიათ, გაიაროთო“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, მსგავსი საქციელი ევროპაში დიდი ხანია, არავის უნახავს.

დროულად ჩაუტარეთ ბავშვებს პნევმოკოკური ინფექციის ვაქცინა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას მოუწოდებს პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა ბავშვებს დროულად ჩაუტარონ.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსმა ხათუნა ზახაშვილმა განაცხადა, მშობლებს ყურადღება მართებთ, რადგან პნევმოკოკი განსაუთრებით საშიშია 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. რისკის ჯგუფებს წარმოადგენენ ასევე დღენაკლული, მცირეწონიანი და ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვები.

პნევმოკოკები ხველისა და ცემინების დროს გამოიყოფა და წვეთოვანი გზით ვრცელდება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ პნევმოკოკურ ინფექციებთან ბრძოლის საუკეთესიო საშუალება ვაქცინაციაა. მათივე ინფორმაციით, პნევმოკოკი ბაქტერიაა, რომელიც პნევმონიას, ანუ ფილტვების ანთებას, მენინგიტის ანუ ტვინის გარსების ანთებას, მძიმე ბრონქიტს — გულის შიდა გარსების ანთებას და შუა ყურის ანთებას იწვევს.

პნევმოკოკურ ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 15 თვემდე ასაკის ბავშვებში უფასოა.

④

„ჩემი და შენის“ პრობლემა საყდრისი-ყაჩაღიანის „საბრძოლო პოლიგონზე“

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება რატიფიკაციაჰყო

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯდომარე თედო ჯაფარიძე და ევროკავშირში საქართველოს ელჩი ნატალია საბანაძე. აგრეთვე, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ხელი 2014 წლის 27 ივნისს მოაწერა.

ამ დრომდე დოკუმენტის რატიფიკაცია 10 ქვეყანამ მოახდინა. ეს ქვეყნებია: ხორვატია, რუმინეთი, ბულგარეთი, ლიტვა, ლატვია, მალტა, სლოვაკეთი, ესტონეთი, უნგრეთი და შვედეთი. დოკუმენტის რატიფიცრებას აპირებს დანიაც.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას მხარი დაუჭირა 490-მა ევროპარლამენტარმა, წინააღმდეგი იყო 76, თავი შეიკავა 57-მა. სულ ხმის მიცემაში 623 ევროპარლამენტარი მონაწილეობდა.

ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებამდე ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ რეზოლუციის პროექტიც მიიღო.

საქართველოს შესახებ რეზოლუცია მომხსენებელ ანდრეი მამიკინსის ანგარიშის საფუძველზე მომზადდა.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ევროპარლამენტი მხარს უჭერს რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მიზნით საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რუსეთს კი მოუწოდებს, პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, ასევე უკან წაიღოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება. დოკუმენტში, ასევე, აღნიშნულია, ევროპარლამენტი მიესალმება საქართველოს სასამართლო სფეროში განხორციელებულ რეფორმებს და აღნიშნავს, რომ ხელისუფლების შტოები ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოს, გამოძიების დროს კი პოლიტიკური მოტივაცია გამოირიცხოს.

პრეზიდენტი ევროპარლამენტს მადლობას უხდის

გიორგი მარგველაშვილი ევროპარლამენტარებს რეზოლუციაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაფიქსირებისთვის მადლობას უხდის.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ევროპარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რეზოლუციაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის ასახვა რეგიონში სტაბილიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია.

„მე მინდა, რომ გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარ ევროპარლამენტარებს ამ რეზოლუციის მიღებისთვის. ამ რეზოლუციაში საუბარი არის ბევრ საკითხზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე და ტერიტორიულ სუვერენიტეტზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ბოლო ორი თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა გააფორმა ე.წ. ხელშეკრულება აფხაზეთთან და ძალიან დიდი მადლობა, რომ რეზოლუციაში ამ მომენტის ასახვა მოხდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია როგორც რეგიონში სტაბილიზაციისთვის, ასევე ჰუმანიტარულ მომენტებზე“, — განაცხადა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი პატიმრების შეწყალებას გეგმავს

საახალწლოდ საქართველოს პრეზიდენტი პატიმრების შეწყალებას გეგმავს. როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ განაცხადა, კომისიის სხდომა მომავალ კვირაში გაიმართება.

„რადგან სხდომა ჩაინიშნა, სავარაუდოდ პრეზიდენტი საახალწლოდ პატიმრებს შეიწყალებს“, — აღნიშნა ზვიად ქორიძემ.

მისივე თქმით, ამ დროისათვის შეწყალების კომისიაში არსებით განხილვაზეა 225 პატიმრის განაცხადი, რომლებიც კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. თუმცა, კომისიაში არის ისეთი პატიმრების საქმეებიც, რომლებიც კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებენ.

◎ დედაქალაქი

მშენებლობებზე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი თბილისის მერს მოუწოდებს ვერაზე, საბურთალოსა და ვაკეში მშენებლობებზე მორატორიუმი გამოაცხადოს. ამის შესახებ ალეკო ელისაშვილმა გუშინ თბილისის საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ვერაზე, საბურთალოსა და ვაკეში მშენებლობის თვალსაზრისით კატასტროფული სიტუაციაა.

ელისაშვილის თქმით ვერა დაპროექტებულია მე-19 საუკუნეში, საბურთალო და ვაკე კი საბჭოთა პერიოდში და ეს ტერიტორიები კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის იყო გათვლილი.

„ვაკემ, ვერამ და საბურთალომ სამშენებლო და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით საკუთარი თავი ამოწურეს. ამ ტერიტორიაზე ახალი მშენებლობები აღარ შეიძლება. არადა არის ნებართვები. ჯოჯოხეთური ნებართვების მიხედვით მიმდინარეობს მშენებლობები“, — აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა დაასახელა ის ქუჩები, სადაც ამ მომენტისათვის გაცემული ნებართვებით მშენებლობები მიმდინარეობს. მისივე განცხადებით, ბელინსკისა და ზანდუკელის ქუჩებზე სტადიონიც კი აიღეს იმის გამო, რომ მშენებლობა დაწყებულიყო. მან დაასახელა ატენის ქუჩა, სადაც 25-სართულიანი კორპუსები შენდება. მისივე თქმით, რთული სიტუაციაა ასევე ასათიანის ქუჩაზე, ვეძისში, საირმის ქუჩაზე და სხვა ქუჩებზე. მისივე თქმით, უკონტროლო მშენებლობები იწვევს საცობებს და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრმა დედაქალაქის მერს დავით ნარმანიას მოუწოდა, ეყოს გამბედაობა და გამოაცხადოს საამშენებლო მორატორიუმი თბილისის აღნიშნულ რაიონებზე.

საუბრისას მან აღნიშნა, რომ კომუნისტების მიერ გაკეთებული გათვლებით, ერთ ჰექტარზე მაქსიმალურად დასაშვები იყო 300-დან 350-მდე მოსახლე. დღეისთვის ვაკეში ერთ ჰექტარზე დაახლოებით 800-მდე მოსახლე მოდის, საბურთალოზე კი ერთ ჰექტარზე 600-მდე. მან დასძინა, რომ მიმდინარე სამშენებლო პროექტები ყოველგვარ ინფრასტრუქტურულ დაანგარიშებას არის მოკლებული.

„ჩინოვნიკების კეთილდღეობის პროექტი“

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი თბილისის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტს ჩინოვნიკების კეთილდღეობის პროექტს უწოდებს.

როგორც დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, იგი თბილისის საკრებულოს სხდომაზე მხარს არ დაუჭერს თბილისის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტს. ელისაშვილი აცხადებს, რომ საკრებულოს უმრავლესობამ არ გაითვალისწინა საკრებულოს ოპოზიციის შენიშვნები და შეთავაზებები.

„მეორედ დედაქალაქის მერიამ დაადასტურა, რომ ეს არის ჩინოვნიკების კეთილდღეობის ბიუჯეტი, კერძოდ, ალეკო მარგიშვილის კომფორტისა და კეთილდღეობის ბიუჯეტი და მისი მსგავსი პერსონაჟებისათვის და არა ქალაქისა და ხალხის ინტერესების გამომხატველი“, — აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

მისივე თქმით, 2015 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტი 90 მილიონი უნდა მოხმარდეს ჩინოვნიკებს, გროშები კი ავარიული სახლების გამაგრებას, თუნდაც ქუჩების შეკეთებას, ან ისტორიული ქალაქის განვითარებას.

„800-მილიონიანი ბიუჯეტის პროექტიდან 90 მილიონის გათვალისწინება საკრებულოსა და მერიის შენახვისთვის უმსგავსობაა და მე ამ უმსგავსობას მხარს არ დავუჭერ“, — აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენა „პანორამა თბილისთან“ კავშირში არ არის

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

საკრებულოში გუშინ პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენასთან დაკავშირებული 11 პროექტის წარდგინება გაიმართა. წარდგინებას საკრებულოს დეპუტატები, თბილისის მერი და თავად პროექტის ავტორები ესწრებოდნენ. ნარმანიას თქმით, საჯარო განხილვა მნიშვნელოვანია, რომ ყველა მხარის პოზიცია იყოს დაფიქსირებული და მოსმენილი.

„ძალიან საინტერესო 11 იდეა მოვისმინეთ. ეს პრობლემა წინა ხელისუფლებამ დაგვიტოვა და პრობლემა გამოიხატება იმაში, რომ ვერც ისტორიული მემკვიდრეობა ვერ მივიღეთ, თუმცა, მივიღეთ საცობები. შევარჩევთ პროექტს, რომლითაც განიტვირთება ქალაქის ეს ნაწილი საცობებისგან“, — განაცხადა ნარმანიამ.

საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის განცხადებით კი, შესაძლოა მოხდეს ამ პროექტების კომბინირება.

„საკმაოდ საინტერესო პროექტებია წარმოდგენილი, რომლებიც ითვალისწინებს ქალაქის იერსახის შენარჩუნებასა და საგზაო მოძრაობის განტვირთვას. ასევე გათვალისწინებულია თუ როგორ იმოძრავებენ ფეხით მოსიარულეები პუშკინის ქუჩაზე. სხვადასხვა კარგი მოსაზრების აღება უნდა მოხდეს და მათი კომბინირება უნდა გაკეთდეს“, —განაცხადა გიორგი ალიბეგაშვილმა.

დევნილებს საცხოვრებელი სახლები საკუთრებაში გადასცეს

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დევნილობაში მყოფ 656 ოჯახს საცხოვრებელი სახლები საკუთრებაში გადაეცემა, — შესაბამისი გადაწყვეტილება მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

როგორც მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, გადაწყვეტილება იმ პროგრამის ფარგლებშია მიღებული, რომელიც საცხოვრებელი სახლების 10 000 დევნილი ოჯახისთვის საკუთრებაში გადაცემას გულისხმობს.

„ეს არის 10-თვიანი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლის პირველ ოქტომბრამდე, სავარაუდოდ, 10 000 ოჯახს უნდა გადაეცეს სახლები. მთავრობის სხდომაზე გავიდა ამ პროგრამის ერთი ნაწილი. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე 656 ოჯახს სახლები საკუთრებაში გადაეცემათ“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

მინისტრის განმარტებით, აღნიშნული ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლები გაიცემა როგორც თბილიში, ისე ბათუმში, წყალტუბოში, კასპში, ხონსა და საქართველოს სხვა რაიონებში.

ეროვნული ხასიათი, მეხსიერება და...

ამ ბოლო დროს ხელისუფლებამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული გენოციდის და ეთნიკური წმენდის გახსენებას მოუხშირა, რასაც მოსახლეობა თავაზიანი დუმილით ხვდება, პასიური და მოთენთილია ერი. ეს შეიძლება ეკონომიკური, სოციალური და სხვა მიზეზებით აიხსნას და მართებულიც იქნება, მაგრამ, მოსახლეობის მეხსიერების „მკურნალობა“ ნებისმიერი ხელისუფლების პირდაპირი ვალია. ეს ძნელია და სპეციფიური მეთოდიკით და განსხვავებულ ჭრილში უნდა ხდებოდეს ისე, რომ სიდუხჭირის ან თვით სახელისუფლებო შეცდომების გამართლების მცდელობად არ აღიქმებოდეს. ამისთვის, პირველ ყოვლისა, სწორედ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ჯანმრთელი მეხსიერება და სათანადო „აღჭურვილობა“.

ჩვენს ახალგაზრდა ხელისუფალთ ეკა ბეჟანიშვილის და შალვა ქვასროლიაშვილის, ან თამარ ჭოველიძის და ნოდარ ჯანგირაშვილის, ან ვენერა მეტრეველის და მამუკა ნოზაძის, ან მარინა ჭყონია-სამარგულიანის და გია ქარსელაძის სახელები იქნებ არაფერს ეუბნებიან. მე კი 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა მხოლოდ ნაწილი ვახსენე... ეს, პირდაპირ აფხაზეთს ან სამაჩაბლოს არ ეხება — წინასიტყვაობად თუ გამოდგება, როგორც რუსულ-საბჭოური ხელისუფლების სასტიკი ხელწერის მაგალითი. და თუ ბევრი ხელისუფალისთვის, მათი ასაკიდან გამომდინარე, 9 აპრილს დახოცილთა სახელები უცნობია, ეს მათივე პრობლემაა — უფროსი თაობის ახლობლებს და ნათესავებს მოკითხონ.

ერის პასიურობას და მოთენთილობას დავუბრუნდეთ. ომი და ომისგან გამომდინარე ტერმინოლოგია რეალური, „ცოცხალი“ მაგალითების გარეშე ემოციურობას მოკლებული, განზოგადოებული რიტორიკაა. ჰააგის სასამართლოში სპეციფიკური მუშაობა მიმდინარებს, რომელიც რიგითი მოქალაქეების ყურადღების მიღმა რჩება. ადამიანთა მეხსიერებას კი „ვარჯიში“, მომხდარი ტრაგედიის ზუსტი პერსონიფიცირება ესაჭიროება. ეს ნებისმიერმა სპეციალისტმა იცის. პერსონიფიცირებისთვის კი კონკრეტული ფაქტები, კონკრეტული ადამიანების სახეები, მათი დახასიათებები, მათზე მოგონებები სრულიად საკმარისია. ეს მშრალ ტერმინოლოგიას ფსიქოლოგიურად „ხორცს შეასხამს“. აბა, უხსენეთ მთავრობის, პარლამენტის რომელიმე წევრს ან, სულაც ქუჩაში რომელიმე გამვლელს, გია სიჭინავა ან ზელიმხან დანელია — ვერაფერს გაიხსენებენ. მაგრამ, თუ ეტყვით, რომ გია სიჭინავა, ზელიმხან დანელია, შალვა გვაზავა, გიორგი ბარკალაია და სხვები ექიმები იყვნენ და ისინი გულრიფშის ტუბერკულოზური საავადმყოფოს ეზოში დახვრიტეს — სულ სხვა რეაქციას მივიღებთ. იგივე მოხდება ვერა ყოლბაიას, ოლღა ტყებუჩავას, მაია ბესელიას ხსენებისას — არავის ძარღვიც არ აუტოკდება. მაგრამ, თუ ამას დავუმატებთ, რომ სამედიცინო სფეროში მომუშავე ოთხმოცზე მეტ დახოცილთაგან უმრავლესობა ქალები იყვნენ — სწორედ ის ვერა ყოლბაია, ის ოლღა ტყებუჩავა, ის მაია ბესელია და სხვები, ხელისუფლება და ერი დაიმახსოვრებენ. და, იქნებ, ჰააგის სასამართლოს გარდა, ხელისუფლებამ სხვა ხერხსაც მიმართოს... კერძოდ, დამნაშავეთა ძებნას.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 15 წლის შემდეგ „მოსადმა“ ადოლფ აიჰმანი არგენტინაში მოძებნა, მოიტაცა და ისრაელში ჩაიყვანა (არგენტინა აღშფოთდა, მაგრამ 40 წლის შემდეგ ბოდიში მოიხადა. აიჰმანის საიდუმლო ოპერაციის აღიარება ღირდა, რომ ისრაელი ამას ორმოცი წელი დალოდებოდა...)!

ჩეჩნებმა და კაზაკებმა ორასზე მეტი პედაგოგი მოკლეს. მათ შორის სამოცზე მეტი ქალი: ვერა სიგუა, იულია გოგოხია, ცაცა ძანძავა, ძაბული ფაჩულია, გულნარა ჩალაძე, ციალა კუპრავა, ნაზი საჯაია, ჟუჟუნა მაღლაფერიძე, ლიუბა ჩემია, ეთერ ბაკურაძე, ნატო შენგელია, ლიუბა ღვინჯილია, ლილი ჭკადუა, ციური შარია, ნინო ვეკუა, ნათელა თოდუა, მარგო გაგუა, ქეთო კვარაცხელია, სხვები...

56 წლის ლუიზა (ჯუხუ) ანჩაბაძე, მხეცურად მოკლეს — მისი გვამი სამი დღე სადარბაზოში ეგდო, მერე სანაგვეზე გადააგდეს...

79 წლის ეთერ კიკაბიძე ვინმე რუსლან ახუბამ გაგუდა — მკვლელი მოსაძებნია და თბილისშია ჩამოსაყვანი...

მარინა კუხალეიშვილი სომხური ბატალიონის მებრძოლებმა ხეზე მიაბეს, შეურაცხყვეს და მოკლეს... ისინიც თბილისში ჩამოსათრევები არიან.

75 წლის პროფესორი-ფსიქიატრი ბიძინა მგალობლიშვილი დახვრიტეს...

ანდა, ნუთუ არ უნდა იძებნებოდეს ვინმე იური კვარჩია, რომელიც, 1995 წლის 17 სექტემბერს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟაში, რამდენიმე კაცთან ერთად შევარდა ქართველის ოჯახში, მშობლების თვალწინ ორი მცირეწლოვანი ბავშვი ღობეზე (როგორც შამფურზე) ჩამოაცვა, რძალი და მისი სტუმარი ეზოში დახვრიტა, მშობლები კი თან წაიყვანა და ამის შემდეგ ისინი არავის უნახავს?

მაშინაც ქართველები აფხაზებს ძმებს ეძახდნენ, მაგრამ ქედმაღლობის „სუნით“ შეზავებული ეს ფორმალური დეკლარაციები ჭრილობაზე წაყრილ მარილს უფრო წააგავდა... ვშიშობ, რომ დღესაც ასე ხდება — მენტალობაში „ჩაკირული“ ეროვნული შეურაცხყოფის ჭრილობა ნელა, ძალიან ნელა შუშდება. ამიტომაც ვუჩიჩინებ ბატონ ზაქარეიშვილს: ნუ ჩქარობთ, ნათქვამი ასჯერ აწონეთ.

გაგრაში ალექსი ბარამიას ოჯახზე თავდასხმისას, აფხაზებმა და ჩეჩნებმა, ჯერ საჯაროდ გააუპატიურეს, მერე კი თავი მოჰკვეთეს მის ქალიშვილს ცისიას შემდეგ, მრავალი შებღალვის დასასრულს, აგრეთვე თავი მოჰკვეთეს მის მეუღლეს, ნათელას. ეს აქცია „სტუმრებმა“ ოჯახის პატრონის და მისი ოთხი სტუმრის მკვლელობით დაასრულეს. არიან თუ არა ისინი მოსაძებნი?!

აფხაზებისა და ჩეჩნების სადისტურმა თარეშმა იმსხვერპლა ოცდაათი წლის ნატო მილორავა... იმსხვერპლა დრამატული თეატრის სხვა მუშაკებიც, მათ შორის, თემურ ჟვანია (თემური ჩემი კარგი მეგობარი იყო. ასეთი უწყინარი, მოკრძალებული და პატიოსანი ადამიანი ცხოვრებაში აღარ შემხვედრია)...

მოსაძებნი და დასაპატიმრებელია ოთარ ჩამაგუა. სოფელ ბაღმარანის კომენდანტად როგორც კი დაინიშნა, ამ არაკაცმა მოკლა საკუთარი ქართველი ცოლი, ერთადერთი ბავშვი და სიდედრი. ამის მერე თანასოფლელებს, მეზობელ ქართველებს დაერია...

როგორ არ უნდა იძებნებოდნენ ისინი, ვინც სოფელ ახალდაბაში 400-მდე ადამიანი დახოცა, ვინც პატარა ბავშვებს აუპატიურებდა, თავებს სჭრიდა ან მანქანის საბურავებში ტენიდა და ცეცხლს უკიდებდა?

საძებნი ბევრია, რადგან საშინელებები ხდებოდა ყველგან: უშუალოდ სოხუმში, გალში, გუდაუთაში, ტყვარჩელში, ოჩამჩირეში, გულრიფშში.

ერის პასიურობა-მოთენთილობის დაძლევა-შემობრუნება პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ამის გარდა, ეს გარკვეულ კვალიფიკაციას მოითხოვს. კვალიფიკაცია კი ცალკე პრობლემაა. უცნაურია (მეტი რომ არ ვთქვათ), პოლიტოლოგ-კონფლიქტოლოგის, ბატონ პაატა ზაქარეიშვილის მოსაზრებები, ხოლო მისი ტელემაყურებლებთან მუსაიფის სტილი კიდევ უფრო გასაოცარია.

ზაქარეიშვილმა უნდა იცოდეს, რომ კონფლიქტოლოგიაში გარდა პოლიტიკური პოტენციალის, სახელმწიფო ინტერესების და პოლიტიკური ტრადიციებისა, ქვეყნის, ერის მენტალობაც გასააზრებელია.

შევეცდები, ცოტათი მაინც დავეხმარო ბატონ ზაქარეიშვილს, — ეგრეთ წოდებული ამოუცნობი, იდუმალი რუსული სული მხოლოდ მითია — არც იდუმალია და არც ამოუცნობი. ერთ მაგალითს მოვიყვან: თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზე 100-150 წლის წინათ სამარეთა ქვებზე ასეთ ეპიტაფიას შეხვდებოდით: „შენ სტუმრად ხარ, მე კი სახლში ვარ“. რუსული მენტალობა (არაცნობიერად) ამას ყოვლად ნებადართულობად აღიქვამდა. ათი მცნება, ერთგვარად, ვიწრო ფორმალურ ასპექტში განიხილებოდა, როგორც წეს-კანონი, რომლის ზნეობრივი ინტერპრეტირება სავსებით დასაშვებია. ასეთი არაცნობიერი განწყობა რუსებს დღემდე გამოჰყვათ. ყოველივე ნებადართულობა რუსებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიმყენებელია როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. მეორე მაგალითი მენტალობას მხოლოდ ირიბად ეხება და მათ მიერ ცივილიზაციური განვითარების შინაგან უარყოფაზე თუ მიანიშნებს: უახლესი გამოკითხვებით მტკიცდება — რუსეთის მოსახლეობის მეოთხედს სჯერა, რომ მზე დედამიწის გარშემო ბრუნავს. პუტინი, რასაკვირველია, მათ რიცხვს არ მიეკუთვნება, მაგრამ მას ქვეშევრდომთა ასეთ მნიშვნელოვან ნაწილთან აქვს საქმე.

კონფლიქტოლოგებმა, პოლიტტექნოლოგებმა ხელისუფლებისადმი რეკომენდაციების მომზადების პროცესში ასეთი ნიუანსები უნდა გაითვალისწინონ, ოღონდ, თუ ხელისუფლება საერთოდ სარგებლობს რაიმე რეკომენდაციებით.

კიდევ ერთი რჩევა-შენიშვნა კონფლიქტოლოგ ზაქარეიშვილისთვის: რაც შეეხება აფხაზებს და ოსებს — მეტად რთული და სათუთი საკითხია — საქმე სხვა მენტალობასთან გვაქვს და, ამ შემთხვევაში, ჩვენი მენტალობის შეპირაპირება უადგილო და საზიანოა.

მაგალითისთვის, განვიხილოთ აფხაზური პრობლემა. 1976-78 წლებში სოხუმის დრამატულ თეატრში მომიწია მუშაობა. მაშინ თეატრში ორი დამოუკიდებელი დასი იყო — ქართული და აფხაზური, რომლებსაც ერთი დირექცია აერთიანებდა. გარდა იმისა, რომ თეატრი ორი კულტურის თანაარსებობის სპეციფიკურ გარემოდ აღიქმებოდა, ის, ამავე დროს, საერთოდ მოსახლეობის ორი ეთნიკური ჯგუფის თავშეყრის და კომუნიკაბელობის „საგამოცდო“ ადგილიც გახლდათ. სწორედ მაშინ ნათლად გამოჩნდა საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ვერაგობა და სიავე. აფხაზურ უფროს თაობას კარგად ახსოვდა ახალგაზრდობაში როგორ „ეკრძალებოდათ“ აფხაზურად ლაპარაკი და ეს შემდეგ თაობებს გადასცეს. ჩემი იქ ცხოვრების დროს მკვეთრად, პრაქტიკულად ოფიციალურად, საბჭოთა ხელისუფლების არჩევითი საკადრო პოლიტიკა ტარდებოდა: მნიშვნელოვანი გადწყვეტილებები ე.წ. „გაწონასწორებულ“ ან „დაბალანსებულ“ მიდგომას გულისხმობდა — აქ ხელმძღვანელი აფხაზი, იქ ხელმძღვანელი ქართველი... ასეთი მიდგომა ზიანს აყენებდა ქართველებსაც და აფხაზებსაც, ვინაიდან ყველა შემთხვევაში არ ეყრდნობოდა ახალდანიშნულის პროფესიონალიზმს და რიგრიგობით აღვივებდა წყენას და შურს ხან აფხაზებში, ხან ქართველებში. მაგრამ მთავარი ეს არ იყო. ქართველების ქედმაღლობა, მედიდურობა და ამპარტავნობა იყო აფხაზებისთვის ძირეული მამოძრავებელი მათი ანტიპათიისა ქართველების მიმართ. ეს გასაგებიცაა — ქედმაღლობა, მედიდურობა, ამპარტავნობა ისეთი რამაა, რასაც ვერ „ჩაეჭიდები“, დასაბუთებად ვერ მოიყვან, რეალურ მტკიცებულებად ვერ გამოიყენებ — შინაგანი შეგრძნების სფეროშია და ამრიგად უსაზღვროდ მწარეა და შეურაცხმყოფელი. მაშინაც ქართველები აფხაზებს ძმებს ეძახდნენ, მაგრამ ქედმაღლობის „სუნით“ შეზავებული ეს ფორმალური დეკლარაციები ჭრილობაზე წაყრილ მარილს უფრო წააგავდა... ვშიშობ, რომ დღესაც ასე ხდება — მენტალობაში „ჩაკირული“ ეროვნული შეურაცხყოფის ჭრილობა ნელა, ძალიან ნელა შუშდება. ამიტომაც ვუჩიჩინებ ბატონ ზაქარეიშვილს: ნუ ჩქარობთ, ნათქვამი ასჯერ აწონეთ.

მალხაზ ჟვანია

„ჩემი და შენის“ პრობლემა საყდრისი-ყაჩაღიანის „საბრძოლო პოლიგონზე“

ბატონი ნუგზარ კობახიძის ეს წერილი 2014 წლის გაზაფხულზეა დაწერილი. მაშინ მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო იგი არ დაიბეჭდა. ამ დღეებში, საყდრისის უძველესი მაღაროს აფეთქების შემდეგ, როცა საზოგადოებაში ვნებათაღელვა უკიდურესად გამწვავდა, ავტორმა დაჟინებით მოითხოვა მისი გამოქვეყნება, რადგან მიიჩნევს, რომ ის სიცხადეს შეიტანს ვითარებაში.

რეზო ჩხეიძის ფილმში „მშობლიურო ჩემო მიწავ“ არის ასეთი დაპირისპირება: „ბავშვი რომ დაიბადება, იმან იცის ჩემი და შენი“ — უმტკიცებს ფილმის გმირს ერთი საქმოსანი და არა საქმიანი კაცი. „აი თქვენ კი ეს არ იცით, თქვენ იცით მხოლოდ ჩემი“, უპასუხებს იგი.

მას შემდეგ ის საქმოსანი გამრავლდა. გახდნენ საქმოსნები, ძალიან გაახალგაზრდავდნენ, შემდეგ გახდნენ „კაცის კაცები“, მოვიდნენ ხელისუფლებაში, მოსპეს ყველანაირი მაკონტროლებელი სტრუქტურა, მოირგეს კონსულტაცია და კანონები და დაიჩემეს ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში ხალხის შრომით აშენებულა და მოპოვებულა.

„ჩემი და შენი“ პრობლემის გამძაფრებამ, საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის დაპირისპირებამ, განვითარების „კლასიკური სახე“ მიიღო საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე.

როგორც ცნობილია, კაზრეთის მადნის გამამდიდრებელი ქარხნის ექსპლოატაციაში გადაცემა იმ „ავადსახსენებელ კომუნისტების დროს“ მოხდა. აშენებული ქარხანა და მოპოვებელი მადანიც ეკუთვნოდა სახელმწიფოს. როდესაც ქარხანას შეუცვალეს კუთვნილება, იგი გახდა სააქციო საზოგადოება, აქციის მფლობელები სხვებთან ერთად გახდნენ იქ მომუშავე ფიზიკური პირები (ძირითადად მუშები).

სააკაშვილის რეჟიმის დადგომისთანავე ხელისუფლებამ დაიწყო ყვირილი, ქარხანას და ქვეყანას ინვესტიციები სჭირდებაო (თუმცა, ქარხანა ყოველთვის მომგებიანი იყო), მსოფლიო ბანკიდან აიღეს სესხი, სად წაიღეს და რას მოახმარეს ასეულ მილიონობით დოლარი, არავინ იცის, სამაგიეროდ, ქარხნის ღირებულება გაზარდეს რამდენიმეჯერ, რის შედეგადაც აქციონერთა აქციები ისე გაუფასურდა, რომ მათმა ფლობამ აზრი დაკარგა. მომდევნო წლებში ქარხანა და მადნის განთავსების ტერიტორიები რამდენჯერმე გაყიდეს, რათა „კუდები“ დაეფარათ და სახელმწიფო საკუთრება გადაიქცა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მოკალათებული პოლიტიკოსების საკუთრებად. სახელმწიფო დღეს ჩვენ ვართ და ნებისმიერი სახელმწიფო საკუთრება ჩვენი საკუთრებაა, აცხადებდნენ ისინი. რადგან მათ უფრო და უფრო მეტი ფული სჭირდებოდათ, მოვლენები ისე განვითარდა, როგორც მოსალოდნელი იყო: მუშებს და მომსახურე პერსონალს ხელფასები ჯერ გაუნახევრეს, ხოლო შემდეგ „ზედმეტი“ ადამიანები სამუშაოდან გაყარეს. გამოყრილებმა თავიანთი უფლებების დასაცავად ბრძოლა დაიწყეს. ამ ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო.

საკუთარი წილის მისაღებად ბრძოლაში ჩაებნენ კულტურის სამინისტროს თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციები თბილისიდან და მეცნიერების (ძირითადად არქეოლოგებისა და ისტორიკოსების) გარკვეული ნაწილი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ, რადგან ერთ-ერთმა ევროპელმა მეცნიერმა თქვა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე 400 წლის წინათ ქართველი კაცი ოქროს მოიპოვებდა და ადნობდა, ამ ტერიტორიას უნდა მიენიჭოს ძეგლის სტატუსი და მისგან მნიშვნელოვანი წილი ჩვენ უნდა მივიღოთო.

ჭეშმარიტების დასადგენად შექმნეს კომისია 13 მეცნიერის შემადგენლობით. ადგილზე გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, სამი მეცნიერი ამტკიცებდა, აქ 400 წლის წინათ ოქროს მოპოვება ხდებოდაო, ათი კი წინააღმდეგი იყო. თქვენ საიდან იცით, რომ აქ ოქროს მოპოვება არ ხდებოდაო? — უკითხავს იმ სამს. თქვენ საიდანღა იცით, რომ აქ 400 წლის წინათ ოქროს მოპოვება ხდებოდაო — უპასუხია ათს (ზუსტად ისე, როგორც ლუარსაბისა და დარეჯანის ცნობილ დაპირისპირგებაშია, „საიდან იცი, რომ თევზების მეფედ ორაგული თქმულა“... „შენ საიდანღა იცი რომ თართია“...).

2014 წლის 22 მარტის გრანდიოზულმა თბილისიდან შემოსევამ, საყდრისი-ყაჩაღიანის საბრძოლო პოლიგონზე, უფრო მეტად გაამძაფრა ბრძოლა საზოგადოების ფენებს შორის (ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოხდა). ეს ფიზიკური შეხლა-შემოხლა შეიარაღებულ ბრძოლაში რომ არ გადაზრდლიყო, მადნის მომპოვებელმა კომპანიამ სამუშაოები შეაჩერა და რამდენიმე ასეული მოქალაქე, რომლებიც იქ მუშაობდა, უმუშევარი დატოვა (ყოველთვის მუშები ზარალდებიან).

მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვა პროფესიის ადამიანი ვარ, თავიდანვე გრძნობდი, რომ ჭეშმარიტების დადგენა სრულიად მარტივად შემეძლო. რადგან განათლება მიღებული მაქვს იმ „ავადსახსენებელ“ დროში და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით „გამწალდეს და გამაშალაშინეს“, და, რაც მთავარია, ისე როგორც ბევრ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს, მეც საყდრისი-ყაჩაღიანის პოლიგონიდან არანაირი დაინტერესება არ მაქვს (მხოლოდ პირად დაინტერესებაზეა ლაპარაკი, ე. ი. იქ. „ჩემი“ არაფერია).

მთაზე ასვლა და „გვირაბის“ დათვალიერება მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვახერხე (ასასვლელს საიმედოდ იცავდნენ). ინფორმაციის მოგროვება მომიხდა ადგილობრივებში, იქ მომუშავე ადამიანებში.

„გვირაბი“, რომელმაც აზრთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია, თურმე წარმოადგენს მთის თავზე (მწვერვალზე) პრიმიტიულად გათხრილ ღრმა ღრმულს, რაც მადნის მოპოვებისათვის მოწყობილ მიწისქვეშა ნაგებობებისათვის დამახასიათებელი არ არის. მთის ფერდობზე, ზოგიერთ ადგილზე, კომუნისტური რეჟიმის დროს მოუწყვიათ ე. წ. „შტოლნები“ მადნის საძიებო სამუშაოების შესასრულებლად. აქვე დღესაც დგას სახურავჩანგრეული საყდარი, ტერიტორიამაც ასეთი დასახელება იმიტომ მიიღო.

მთის მწვერვალზე ღრმულში ჩასასვლელის არსებობა, მისი განთავსების თავისებურება, ადგილმდებარეობის დასახელება, მოსახლეობაში გავრცელებული ლეგენდები თუ სინამდვილე გვაფიქრებინებს, რომ ღრმული (თუ „შახტა“) გათხრილია იმ მიზნით, რომ ქვეყნისათვის ძნელბედობის ჟამს, როცა სოფლებს კაზრეთს, ბალიჭებს და სხვებს მტერი დაეცემოდა, მოსახლეობა აქვე ტყეში მთის მწვერვალზე გახიზნულიყო და დამალულიყო. რამდენიმე კილომეტრში მდებარე სოფ ქვეშში, სოფლის შუაგულში აღმართულ გორაკზე ქვეშელების წინაპრებს ციხეც აუშენებიათ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვემო ქართლში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, თავდაცვის ასეთი ხერხი გავრცელებული იყო.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, აქ გადიოდა „აბრეშუმის გზა“, ხოლო ლეკიანობის დროს, ლეკები, რომლებსაც კახეთიდან მოტაცებულები ამ გზით მიჰყავდათ ახალციხეში გასაყიდად, უარს არ იტყოდნენ ტყეებში ეთვალთვალათ და გაეტაცნათ ადგილობრივებიც. ხალხმა ამ ადგილს იმიტომ დაარქვა ყაჩაღიანი.

მახლობლად მდებარე სოფ. აკაურთაში არის ბუნებრივი გამოქვაბული და მას ადგილობრივები „ყაჩაღების სახლს“ უწოდებენ. ოქროსთან ან მონეტებთან დაკავშირებული რაიმე სხვა ლეგენდა ან თქმულება ადგილობრივ მოსახლეობაში არ არის.

ასეთი დასკვნა არ მოეწონებათ მეცნიერებს, თბილისელ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დაუსრულებლად იმეორებენ ერთსა და იმავეს: რადგან ევროპელმა მეცნიერმა თქვა, აქ 4000 წლის წინათ ოქროს მოპოვება ხდებოდაო, იგი ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ და საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს ისტორიული ძეგლის სტატუსი უნდა მივანიჭოთო. მათ არცერთხელ არ შეუვლიათ ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და არ მოუკითხავთ რაიმე ცნობა, რომელიც ნაწილობრივ მაინც შეეხებოდა საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე საუკუნეების წინათ ოქროს მოპოვებას.

„კლასთა ბრძოლის“ გამძაფრება საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე, ენგურის ხეობაში, ჭიათურის მაღაროებში, რუსთაველი მიკროავტობუსების მძღოლებში და სხვაგან, ხელისუფლებაში ნაცების ყოფნისას მტაცებლური პოლიტიკის დამკვიდრების შედეგია.

ჩვენ, რიგითები, ახალ ხელისუფლებას ვთხოვთ, უპირველესად, აღადგინოს საქართველოს კონსტიტუცია პირვანდელი სახით მაინც, ისე გადაამუშაოს და დახვეწოს კანონმდებლობა, რომ შეწყდეს ქვეყნის სიმდიდრეების დატაცება, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უცხოეთში მიგრაციის მინიმუმამდე შემცირებას. თუ ეს საკითხები უახლოეს დროში არ გადაიჭრა და „კლასთა ბრძოლა“ უფრო მეტად გამძაფრდა, განმეორდება ის, რაც ერთი საუკუნის წინათ მოხდა.

ვისურვებდით, რომ მოვლენები საქართველოში ისე აღარ განვითარდეს.

ნუგზარ კობახიძე.
ბოლნისი,
31.03.2014.

P. S. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე სამუშაოები განუახლებიათ და იქ მომუშავე პერსონალი კვლავ მიუწვევიათ სამუშაოდ. განუზრახავთ, საზღვარგარეთელი მეცნიერების ჩამოყვანა საბადოს შესასწავლად და თუ რაიმე ფასეული მტკიცებულება აღმოჩნდება, მას ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცემენ.

ვფიქრობ, ეს ნაბიჯი ყველა მხარისათვის მისაღები უნდა იყოს.

ნ. კ.

◎ ორი აზრი ერთ საკითხზე

„საყდრისის დამცველები“ პრემიერს განცხადებით მიმართავენ

საყდრისის დაცვის საზოგადოებრივი კომიტეტის წევრები, სტუდენტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პრემიერ-მინისტრს მიმართავენ. ირაკლი ღარიბაშვილის სახელზე დაწერილი განცხადება მათ გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში ჩააბარეს.

„მივმართავთ პრემიერ-მინისტრს, დაუყოვნებლივ შეაჩეროს საყდრისის საბადოზე აფეთქებითი სამუშაოები. ჩვენ პრეზიდენტსაც მივმართეთ განცხადებით, მაგრამ მას ამის უფლებამოსილება არ აქვს. ირაკლი ღარიბაშვილს კი, როგორც მთავრობის მეთაურს, შეუძლია უმნიშვნელოვანესი ძეგლის დაცვა. ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, როგორც წინა მთავრობამ ვერ ჩამოირეცხა გირგვლიანის ლაქა, ისე ვერ ჩამოირეცხავს ის საყდრისის თემას, თუმცა, მას ჯერ კიდევ აქვს ვადა, რომ ეს ძეგლი საბოლოო გადანდგურებას გადაარჩინოს“, — განაცხადეს „ინტერპრესნიუსს“ მიმართვის ავტორებმა.

საყდრისის დაცვის საზოგადოებრივი კომიტეტის წევრები, სტუდენტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მთავრობის ადმინისტრაციასთან პლაკატებით მივიდნენ, რომლებზეც გაკეთებულია წარწერა „ძეგლთა ნგრევის სააგენტო“, „ანთიძე არ შეგრჩება“ და ა.შ.

ბარბაროსები ყაჩაღიანიდან

თანამედროვე ბარბაროსებმა, „პირწავარდნილმა ყაჩაღებმა“ „RMG GOLD“ კომპანიიდან, რომლებიც საყდრის-ყაჩაღიანში მსოფლიოში უძველეს მაღაროდან ოქროს მოპოვებას აწარმოებდნენ, 13 დეკემბერს მთელ საქართველოს და ცივილიზებულ მსოფლიოს საკუთარი არსი დაანახვეს. მათი მზაკვრული საქმიანობა რამდენიმე ეტაპად წარიმართა. ჯერ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების კვლევები და მოსაზრებანი უარყვეს ძეგლის სიძველესთან და უნიკალურობასთან დაკავშირებით, შემდეგ მოსყიდული ვაი-სპეციალისტების შეგრძნება მოახერხეს, უტყუარი არტეფაქტების უარყოფა სცადეს, კულტურული ძეგლის სტატუსი მოხსნეს, ბულდოზერებით გადაუარეს და ბოლოს (13 დეკემბერს) ფარული თუ ხილული „სამართლებრივი მრჩეველების ხელდასხმით, მსოფლიოში სამთამადნო წესით ოქროს მოპოვების უძველესი მაღარო ააფეთქეს!

საზოგადოებრივი პროტესტის, მიტინგების, კარვების მუდმივი მორიგეობის, ახალგაზრდობის გამოსვლების მიუხედავად , შეურაცხყოფა მიაყენეს მთელ ერს და მის უძველეს კულტურას.

ჩვენ მოვითხოვთ ამ ფაქტის გამოძიებას! ჩვენ მოვითხოვთ კულტურის მინისტრის გადადგომას და ყველა ბარბაროსის დასჯას კომპანია „RMG GOLD-დან“, ვინც აწარმოებდა ამ ვანდალურ აქციას ქართველი ერის საწინააღმდეგოდ!

საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს გამგეობის წევრები

ელენე აბაშიძე, ვაჟა აბაშიძე, მანუჩარ მაჩაიძე, მალხაზ ამაშუკელი, ია გაგრატიონ-მუხრანელი, ნინო ანდრონიკაშვილი, ელენე ბარათაშვილი, მერაბ ლორთქიფანიძე, ბუდუ სირბილაძე, ზაზა ჩიქოვანი და მრავალი სხვა...
17.12. 2014ნ

მსოფლიო მედიცინის სიამაყე

ლეო ბოკერია – 75

ერთხელ გაიუს იულიუს კეისარს ერთ-ერთმა დაახლოებულმა პირმა მეფე უწოდა. „მე კეისარი ვარ“, – მოკლედ მოუჭრა გენიოსმა...

რა საჭიროა ყველა იმ ტიტულის, წოდების, თანამდებობის, ჯილდოსა თუ პრემიის ჩამოთვლა, რომლებიც ლეო ბოკერიას „თავს აყრია“ – ყველა მათგანის სულმოუთქმელად დასახელება მე კი არა, თავად ბატონ ლეოსაც გაუჭირდება.

ის ლეო ბოკერიაა და ამით ყველაფერი ისედაც ნათქვამია!

მთელ მსოფლიოში გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის კლასიკოსად აღიარებული, გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზატორი, პრემიებითა და ჯილდოებით დახუნძლული, სახელოვნებითა და სიყვარულით განებივრებული არც გულწრფელობას კარგავს, არც უშუალობასა და უბრალოებას, არც შემოქმედებით ენერგიას, არც სიყმაწვილის მეგობრებს...

...ორი ქალაქი – ფოთი და ოჩამჩირე მას თავისიანად მიიჩნევს, თანაც, თითოეული მათგანი თავისებურად მართალია: ლეო ბოკერია ოჩამჩირეში დაიბადა, ფოთში იზრდებოდა და სწავლობდა, თუმცა, სკოლა მაინც ოჩამჩირეში დაამთავრა, საიდანაც სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში გაემგზავრა.

ჩვეულებისამებრ, მისი დაბადების დღის აღსანიშნავ ყველა წვეულებას ვესწრებოდი. შარშან კი მოსკოვში ჩასვლა ვერც მე და ვერც მისმა ბიძაშვილმა ნოდარ ბოკერიამ ვერ მოვახერხეთ. ორივემ ამ „სიცარიელის“ ამოვსება გადავწყვიტეთ (აქვე დავსძენ, რომ მას ფესვები ფოთიდან აქვს, მე – ოჩამჩირიდან) და ლეოს დაბადების დღეზე – 22 დეკემბერს მისი მეგობრები ორივე ქალაქიდან ვახშმად მოვიწვიეთ.

(მარცხნიდან): საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი (ოთარ) კვესიტაძე, აკადემიკოსი ლეო ბოკერია, მისი მეუღლე ქალბატონი ოლგა, ლორენცო შარანგია და აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

რასაკვირველია, სუფრას უსხდნენ ლეოს აკადემიკოსი მეგობრებიც. საუბრებითა და სადღეგრძელოებით, ბუნებრივია, იუბილარს დავტრიალებდით.

ბატონი ლეოს ფოთელი თანაკლასელი ავთო თურქია იხსენებდა: **„ის ყველაფერში პირველი იყო: სწავლის ფრიადოსანი, სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, საფეხბურთო გუნდის კაპიტანი, სკოლის ჩემპიონი ჭადრაკში... მეგობრისა და სიმართლის დასაცავად მუშტსაც არ დაიშურებდა...**

ერთხელ გაკვეთილზე კლასის დამრიგებელს ჰკითხა:

– საკლასო ჟურნალის სიაში მეორე რატომ ვარ?

– იმიტომ, რომ შენი გვარი „ბ“-ზე იწყება, აივაზიანისა კი - „ა“-ზე.

– არა, გვარი „ბოკერია“ პირველი უნდა ეწეროს!“

მოსწავლე ბოკერიას ხასიათის ეს შტრიხი, რასაკვირველია, ბევრ რამეზე მეტყველებს...

...როგორ შეიძლება, კოლხეთის შვილს ქართველს მეგობრებთან ერთად სუფრასთან მოლხენა, ხუმრობა, ბასრსიტყვაობა (ამაში კი ის ნამდვილი ოჩამჩირელია!) არ უყვარდეს!

ჩვენ – მის ოჩამჩირელ მეგობრებს – გივი ჯითავას, თამაზ კაკუჩაიას, გურამ მელაძეს, გენო კოკაიას ლეოს ჩამოსვლა (ეს კი საკმაოდ ხშირად ხდებოდა) ნამდვილ დღესასწაულად მიგვაჩნდა. რაოდენ დასანანია, რომ არც ერთი მათგანი დღეს ჩვენს შორის აღარ არის.

იმ წლებში ნატურალური ღვინის პრობლემა იყო, ალბათ, ამიტომაც ლეო ნახევრადმშრალ შამპანურს ამჯობინებდა, ოღონდ ადგილობრივს კი არა – „აბრაუ დიურსოს“! არადა, მისი შოვნა არათუ ოჩამჩირეში, მთელ აფხაზეთშიც ჭირდა.

ერთხელ ლეო ბოკერიამ და მისმა მეუღლემ ქალბატონმა ოლგამ სვანეთის, კერძოდ კი, მესტიის მონახულების სურვილი გამოთქვეს. მათ ოჯახთან ერთად გივი ჯითავა, გურამ მელაძე და მეც გავემგზავრეთ.

უადგილო კია, ახლა იმის აღწერა დავიწყო, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე სვანეთმა, თუმცა, ყველაზე დასამახსოვრებელი იყო მომენტი, როდესაც სასადილოდ ადგილობრივ რესტორანში შესულებს იქაურობა „აბრაუ დიურსოთი“ გადატენილი დაგვხვდა! აი, ეს იყო სიხარული! ამ საოცარი სასმელით დავიტვირთეთ ჩვენცა და ჩვენი მანქანების საბარგულებიც.

მესტიაში მოგზაურობაზე საუბრისას ლეოს მეუღლე ქალბატონი ოლგა ვახსენე...

ჩემი კალამი მეტად უსუსურია საიმისოდ, რომ ადეკვატურად, ღირსეულად გადმოვცე ამ ბრძენი, განათლებული, ჭეშმარიტად გამორჩეული ქალბატონის ხასიათის სრული სიღრმე და მრავალმხრივობა.

რით დაიწყო ყველაფერი? როგორ და რანაირად მოდის სიყვარული, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ჯერ კიდევ დიდი რუსთაველი მოძღვრავდა შთამომავლებს, რომ მიჯნურობა ახსნას, გააზრებას რთულად ექვემდებარება. თუმცა, „სათავე“ მაინც ეს იყო: პირველობას შეჩვეულმა ლეო ბოკერიამ, რომელიც იმ დროისთვის მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე სწავლობდა, რომელიღაც საგანი ჩვეულ „ფრიადზე“ კი არა, „კარგზე“ ჩააბარა. ამ დროს კი ვიღაცამ – ერთადერთმა – ხუთიანი მიიღო. სწორედ ეს „ვიღაც“ აღმოჩნდა მისი თანაკურსელი ოლეჩკა, რომელსაც საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაემთავრებინა.

ოჩამჩირე ჩვენი საყვარელი ქალაქია. ლეო იმ სკოლის კურსდამთავრებულია, რომლის დამაარსებელი და პირველი დირექტორიც მამაჩემი იყო. თუმცა, მოსკოვი მაინც მოსკოვია, მის სკოლას კი, რასაკვირველია, სულ სხვა დონე ჰქონდა.

სამაგალითო მეუღლე, მოსიყვარულე დედა, მზრუნველი ბებია... ამ „რეგალიებს“ თამამად შეიძლება დავუმატოთ: ლეოს მეგობრებისა და ნათესავების გულწრფელი მეგობარი!

ძველ სლავურ ენაში „жена“ (ცოლი) „მფარველს, დამცველს“ (берегиня) ნიშნავდა. სწორედ ამ ტევადი, მრავლისმომცველი სიტყვის განსახიერებაა ქალბატონი ოლგა.

ბავშვებს თავიდან სიყვარულით ვეძახით „კატენკას“, „ოლეჩკას“, შემდეგ – „კატიას“, „ოლგას“, დღეს კი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს, წამყვანი სამედიცინო დაწესებულებების განყოფილებათა ხელმძღვანელებს, პროფესორებს „ეკატერინა ლეონიდოვნათი“ და „ოლგა ლეონიდოვნათი“ მივმართავთ.

...რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ ბატონ ლეოს პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე პატივსაცემი და ცნობილი ქართველი უწოდა. დიახ, ასეთ სიმაღლეებს მიაღწია ფოთელ-ოჩამჩირელმა ჭაბუკმა, რომელიც მოკრძალებულ ოჯახში, მოკრძალებულ ქალაქში, მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე მოკრძალებულ სკოლაში გაიზარდა.

ბატონი ლეო ჩემზე 5 წლით ახალგაზრდაა. თავში უნებურად გამიელვა პარალელმა: 1952 წელს, როდესაც მოსკოვში სასწავლებლად ჩავედი, ყველაზე ცნობილ და პატივსაცემ ქართველებად ი. სტალინსა და ლ. ბერიას მიიჩნევდნენ...

სად სტალინი და ბერია, სად ლეო ბოკერიაო, იტყვით?! არადა, მათ მაინც აკავშირებთ რაღაც საერთო, ერთგვარად მისტიკური...

ჯერ ერთი, სამივენი ქართველები არიან.

მეორეც: როდის დაიბადა ი. სტალინი? 21 დეკემბერს. ლეო კი – 22 დეკემბერს. ეს სწორედ ის დღეებია, როდესაც სიბნელე, ღამე უკან იხევს და სინათლე მძლავრობს...

რა საერთო აქვს ლეოს ბერიასთან? არ თქვათ, არაფერიო!

ქართველობის გარდა, ორივენი ცეცხლოვანი კოლხეთის შვილები, ანუ მეგრელები არიან.

საქმეში ჩაუხედავი ადამიანი იკითხავს, მაინც ვინ არიან ეს მეგრელებიო? დღევანდელი რუსისთვის ეს მელიტონ ქანთარია, გიორგი დანელია, ბულატ ოკუჯავა და ჩვენი მონათხრობის გმირი ლეო ბოკერიაა.

ჩვენ კი „ბერია-ბოკერიას“ კავშირს დავუბრუნდეთ. ნუთუ გვარებშიც ვერ გრძნობთ რითმას? აი, პროფესორმა კი, რომელიც მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში ქიმიის მისაღებ გამოცდას იბარებდა, იგრძნო და თანაც როგორ!

უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების პერიოდის მხრივ ლეოს ჩემზე ნაკლებად გაუმართლა. როდესაც 1952 წელს ინსტიტუტში ვაბარებდი, სიტყვები „ქართველი“ და „საქართველო“ წრფელ პატივისცემას, აღფრთოვანებასა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიყვარულსაც კი იწვევდა.

ლეოს დროს კი – პირიქით: სტალინი დიდებადაკარგული ბოროტმოქმედია, ბერია - დამნაშავე და გარყვნილი ადამიანი. რუსეთის ყველა უბედურება ხომ სულ ამ ქართველების ბრალია...

ქიმიის მისაღები გამოცდა მიმდინარეობს. „კარგზე“ ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში ლეო კონკურსს ეთიშება.

საგამოცდო ბილეთში შემავალი საკითხების მოსმენის შემდეგ გამომცდელი პროფესორი ლეოს ეკითხება:

– თქვენც აფხაზეთიდან ხართ?

– დიახ, – ფრთხილად პასუხობს ლეო.

– აჰა, – მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა პროფესორმა, - ისიც აფხაზეთიდან იყო...

„ოკ“-ს თუ მოაშორებ, ბერიაა! რა საშინელებაა!

ბოლოს, მან საგამოცდო ფურცელი იმ მხარეზე გადააბრუნა, სადაც ჩაბარებული საგნების შეფასების აღმნიშვნელი ნიშნები იწერება – სულ „ფრიადებია“!

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ძნელი წარმოსადგენი არაა აბიტურიენტ ლეოს მდგომარეობა. როგორც იქნა, პროფესორმა ისევ გადმოაბრუნა საგამოცდო ფურცელი და ქედმაღლურად, დამატებითი შეკითხვების დასმის (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება) გარეშე, ჩუმად წარმოთქვა:

– ცუდად არ ხართ მომზადებული, უვარგის ნიშანს არ დაგიწერთ. მაგრამ „დამაკმაყოფილებელიც“ ხომ არ არის ცუდი!

– იქნებ დამატებითი შეკითხვები დამისვათ? – შესთავაზა ლეომ.

– არა, ისედაც ყველაფერი გასაგებია.

ადვილად მისახვედრია, რა აზრები უტრიალებდა თავში ამ უზარმაზარ ქალაქში მარტოდ მყოფ ჭაბუკს.

პროფესორმა ნიშანი ჩაწერა და საგამოცდო ფურცელი გაუწოდა.

გამოდის ლეო აუდიტორიიდან, სუნთქვაშეკრული შლის ფურცელს, იქ კი წერია – „კარგი“!

2008 წელს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ტრაგიკული მოვლენების შემდეგ გაზეთმა „არგუმენტი ი ფაქტი“ („Аргументы и факты“ №36, 2008 წლის 4 სექტემბერი) გამოაქვეყნა სტატია სათაურით **„ორი ხალხის მეგობრობა სააკაშვილით არ დაწყებულა და ვერც მისით დაირღვევა“**.

სტატიაში წერდნენ, რომ მისნაირი ბიჭები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება. თითქმის 200 წელია, რაც რუსეთი და საქართველო ერთ საერთო სახლში ცხოვრობდნენ და ამის გადაშლა არ შეიძლება! არსებობდა საერთო საქმის შეგრძნება, კულტურები ურთიერთავსებდნენ ერთმანეთს, ადამიანების ბედი გადაიჯაჭვა... წარმოიშვა საოცარი მოვლენა – რუსი ქართველები, რომელთა გარეშეც ჩვენი ისტორიის წარმოდგენა შეუძლებელია. აი, ზოგიერთი მათგანი:

პეტრე დიდის გვერდით – იმერეთის უფლისწული, ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი –პეტრეს სიყმაწვილის მეგობარი, რომელიც რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელდცეხმაისტერი გახდა;

რუსული არმიის ლომი – პეტრე ბაგრატიონი;

„მგზნებარე ციციანოვი“ – პირველი რუსი მთავარსარდალი კავკასიაში. „მგზნებარე“ მას პუშკინმა შეარქვა;

ქიმიკოსი და კომპოზიტორი ალექსანდრე ბოროდინი – მამით გედევანიშვილი;

თბილისში დაბადებული და გაზრდილი პავლე ფლორენსკი;

კულტურის მოღვაწეები – ბულატ ოკუჯავა, გიორგი დანელია;

გენერალი, ექიმი იუსტინ ჯანელიძე, რომელიც სახელგანთქმული ნიკოლაი ბურდენკოს შემდეგ ქირურგთა საკავშირო საზოგადოების ხელმძღვანელად აირჩიეს;

ავიაკონსტრუქტორი გ. ბერიევი, მათემატიკოსი ი. ვეკუა და სხვები...

ჩვენთვის მნიშვნელოვანია სტატიის ბოლო აბზაცი: „ამ დიდებულ ტრადიციებს დღეს წარმატებით აგრძელებს გამოჩენილი კარდიოქირურგი ლეო ბოკერია“!

რა ბედნიერებაა ამგვარი პატივი!

აი, ახლაც, ვწერ ამ სტრიქონებს, გული კი მღელვარებისგან ძალუმად მიძგერს.

დიდი მადლობა ყველაფრისთვის, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

უფალი გფარავდეთ შენ და შენს ოჯახს!

ლორენცო შარანგია,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი

P. S. ... ორი ქალაქი მიიჩნევს მას თავისიანად - ოჩამჩირე და ფოთი.

ორივეს მადლობა: მხოლოდ ერთი ვერ გამოზრდიდა ამისთანა გოლიათს.

ლ. შ.

◎ კვალი დროში

დიდი მეცნიერი

გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსს, ქართული ტოპოლოგიური სკოლის დამაარსებელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს გიორგი ჭოღოშვილს (1914-1998) 21 დეკემბერს დაბადებიდან 100 წელი უსრულდება.

დაიბადა საჩხერეში ექიმის ოჯახში, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (1931-1932) და მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1932-1937), აქვე გაიარა ასპირანტურის კურსი და 1939 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1940 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტში (1962 წლიდან — ალგებრისა და გეომეტრიის განყოფილების გამგედ) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1946 წლიდან —ალგებრისა და გეომეტრიის კათედრის გამგედ). 1945 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1957 წელს გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 1960 წელს — ნამდვილი წევრი.

გიორგი ჭოღოშვილს განუზომლად დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მათემატიკური სკოლის არეალის გაფართოებისა და განვითარებისთვის. იმჟამად ჩვენში დამკვიდრებულ აზრს, რომ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, შეუძლია განავითაროს მხოლოდ ნაწილი მათემატიკური დარგებისა, მან დაუპირისპირა მოთხოვნა, რომ მათემატიკურ მეცნიერებაში მომხდარი ყველა დიდი ძვრა ჩვენთანაც უნდა ასახულიყო. ამ იდეის განხორციელებას უწყობდა ის ხელს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, ხოლო მისი პირადი დამსახურებაა მრავალრიცხოვანი ალგებრულ-ტოპოლოგიური სკოლის შექმნა საქართველოში. 1949 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრისა და გეომეტრიის კათედრაზე მან დააარსა სემინარი ალგებრულ ტოპოლოგიაში. მის მუშაობაში ჩაება სტუდენტების საკმაოდ ფართო ჯგუფი, რომლებიც მალე გახდნენ იმ მეცნიერული მუშაობის თანამონაწილენი, რითაც იმ პერიოდში თვითონ იყო დაკავებული. თანდათან მრავალრიცხოვანი გახდა პირადად ბატონ გიორგის მოწაფეთა რაოდენობა, ხოლო დროთა განმავლობაში მოწაფეთა მოწაფეებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

ბატონი გიორგი ხშირად იწვევდა ხოლმე სხვა კათედრებისა და ინსტიტუტების თანამშრომლებს სტუდენტებისთვის სპეციალური კურსების წასაკითხად, როგორც ტოპოლოგებს და ალგებრაისტებს, ასევე მახლობელი დარგების გამოჩენილ სპეციალისტებს. ეს მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო არა მარტო სტუდენტების, არამედ თვითონ ლექტორებისთვისაც.

გიორგი ჭოღოშვილი მეცნიერია, რომლის შრომითი საქმიანობა მთლიანად საქართველოში მიმდინარეობდა და მთელ საქართველოს მოიცავდა.

იგი, როგორც მათემატიკოსი, ჩამოყალიბდა საქვეყნოდ ცნობილ, მოსკოვის ტოპოლოგიურ სკოლაში, როგორც აკადემიკოს პ. ალექსანდროვის მოწაფე. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ აკადემიკოსებთან ა. კოლმოგოროვთან და ლ. პონტრიაგინთან. მიუხედავად იმისა, რომ ის თბილისში ცხოვრობდა, დიდ გავლენას ახდენდა მოსკოვის ტოპოლოგიური სკოლის მუშაობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თავისი სადოქტორო დისერტაციით, რომელიც თბილისში შესრულდა და ალექსანდროვის დასმულ ამოცანას ეხებოდა, მთელი მოსკოვური სკოლა ჩართო ამ ამოცანის გადაწყვეტაში.

გიორგი ჭოღოშვილის მეცნიერული მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

ა) მან პირველმა განმარტა და შეისწავლა მრავალსახეობის გარდაქმნა, რომელიც ახლა მორსის გარდაქმნის სახელით არის ცნობილი (1939 წელი, მისი საკანდიდატო დისერტაცია).

ბ) ააგო კომპაქტურ ჯგუფთა პირდაპირი სპექტრის თეორია (1945 წელი).

გ) პირველმა ააგო ვარიანტი ჰომოლოგიის თეორიისა კომპაქტურ სივრცეთა კატეგორიაზე (1940 წელი), რომელიც შემდგომში აგებული მისი იზომორფული თეორიებიდან განსხვავდება აგების სიმარტივით (ამ თეორიის მნიშვნელობა ცხადი ხდება 1968 წლიდან).

დ) ის პირველია, რომელმაც ალექსანდროვის მიერ 1935 წელს დასმულ ამოცანას — ორადობის თეორემები გავრცელებულიყო ევკლიდური სივრცის არაჩაკეტილი ქვესიმრავლეებისათვის — 1945 წელს უპასუხა მეთოდის მითითებით, რომლითაც უნდა გაკეთებულიყო ეს, და პონტრიაგინის ორადობის თეორემისათვის ხსენებული ამოცანა ბოლომდე ამოხსნა.

გიორგი ჭოღოშვილი იყო საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი, მონაწილე ტოპოლოგთა და ალგებრაისტთა ყველა დიდი ყრილობისა და კონფერენციისა, იცნობდა თავის თანამედროვე ყველა წამყვან ტოპოლოგს, ცდილობდა, არ გამოპარვოდა სიახლეები და მაშინვე საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეწეოდა ახალი იდეების პროპაგანდას.

მის მიერ დაფუძნებულმა ტოპოლოგიისა და ალგებრის სკოლამ ფართო საერთაშორისო აღიარება ჰპოვა. ამ სკოლის წარმომადგენლებს მიღებული აქვთ საერთაშორისო პრემიები, ისინი მუშაობენ მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. გიორგი ჭოღოშვილის სკოლის ხუთი წარმომადგენელი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი.

აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილს იცნობდნენ, როგორც დიდ მეცნიერსა და სრულიად გამორჩეულ მოქალაქეს, და ასეთად დარჩება იგი მარადისობაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

◎ კაკალ გულში

წუხცოლოჯანი ოჯახები

● **მივსვდი!**

სანამ წავიდოდნენ, ნაცებმა, პარლამენტში, პროკურატურაში, მთავრობაში, მერიაში დ.ა.შ. ქოცები დაკბინეს (აი, ზომბებზე და ვამპირებზე რო კინოებია ისე!!!

უცქირე უფასებს და გაიგებ ქართულ პოლიტიკას — პიჩკოკი.

● **„ვინც გინდა იყავ, — გინდ არქიფო, თუ გინდა ზაქრო! — რა გიხარია, შე შობელძაღლო?“**

(რუბლის კურსთან დაკავშირებულ, უადგილო და უაზრო ქილიკზე გამახსენდა.)

რუსეთის სიღატაკე, საქართველოს რომ ამდიდრებდეს და აძლიერებდეს, კიდევ ჰო, მარა - პირიქით როა?

● **საცივის ქვაბში მარტო კისერი და ფრთები რო რჩება, ნაძვის ხე მაგ დღეს უნდა აიღო!**

● **1. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციაა თუ ძებნილების და ჯერონიმოების სხადნიაკი?**

2. ევროპაში მივყავართ, თუ მაგადანში?

● **ის ორი საუკუნე, რომელიც ცივილიზებულმა ერებმა მოანდომეს ფეოდალურის მაგივრად თანამედროვე საზოგადოების აშენებას, ჩვენ, ქართველებმა გავატარეთ მონობაში და გენოციდთან ბრძოლაში, დიდი ნაწილი ქართული საზოგადოებრივი კულტურისა დაიკარგა, შედეგი სავსებით ლოგიკურია: ვიმყოფებით ნახევრად მარაზმულ მდგომარეობაში. ამ მდგომარეობაში განსაკუთრებით მიუღებელია ოლიგარქიულ მმართველობაზე დროის კარგვა, რომლის არსებობის რეალობაში, საყდრისის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა დამარწმუნა. თუ უახლოეს მომავალში სისტემა არ შეიცვალა, მივალთ სრულ მარაზმამდე, ანუ ისეთ ჩიხამდე, საიდანაც გამოსვლის შანსი არ გვექნება!**

● **მადლობა ღმერთს, ვარძიაში ოქროს საბადო არაა!**

● **ფრთხილად ხალხო, ბავშვებს „ჩემი ოქრო ბიჭი“, ან „ჩემი ოქროს გოგო“ არ დაუძახოთ! გახსოვდეთ კბილაშვილი!**

● **მერიის თავზე გამოჩნდა ახალი ლაით ბოქსი: „ალი ხე, სალი ხე, მალი ხე“!**

● **ნარმანიას დარგულ ნაძვებს ნუ ჭრით ფარჩაკებო, უგულავას დარგულები მოჭერით!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

გამყოფი ხაზის სოფლებში დაზარალებულ ოჯახებს გათბობისთვის 200 ლარი გამოეყოფათ

შესაბამისი გადაწყვეტილება მათ საჭიროებებზე რეაგირებისთვის შექმნილმა დროებითმა სამთავრობო კომისიამ მიიღო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნული მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2 335 400 ლარი გამოიყო.

„მათ შორის: გორის მუნიციპალიტეტს — 1 394 800 ლარი; ქარელის მუნიციპალიტეტს — 646 600 ლარი; კასპის მუნიციპალიტეტს — 111 000 ლარი; საჩხერის მუნიციპალიტეტს — 85 400 ლარი; ხაშურის მუნიციპალიტეტს — 69 600 ლარი და ონის მუნიციპალიტეტს — 28 000 ლარი გამოეყოფა“, — აცხადებენ უწყებაში. მათივე ინფორმაციით, აღნიშნული სახსრები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს გადაერიცხებათ, რომლებიც შემდეგ უზრუნველყოფენ ბენეფიციარების ანგარიშებზე თანხების დარიცხვას.

დაკავებულია „ჰერმესის“ თანამშრომელი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰერმესის“ ერთ-ერთი თანამშრომელი, მურმან ჩ. დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ერთ-ერთ მოქალაქეს სახელმწიფო საკუთრებში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონოდ გადაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 2 000 ლარი გამოართვა. დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

ინტერპრესი

◎ განსჯა

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია,

სხვის მაგალითებზე მაინც ვისწავლოთ ჭკუა

საპრეზიდიტო ბარათებმა ჩვენს ყოველდღიურობაში მყარად მოიკიდა ფეხი. დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია 6 039 394 სადებეტო და 1477283 საკრედიტო ბარათი. ამას ემატება ისიც, რომ დიდია მობილური ტელეფონების რაოდენობაც. ყოველივე ამის გათვალისწინებით, წამოიწია თაღლითობის რისკმა, რაც იმაში გამოიხატება, რომ საეჭვო მესიჯები, ზოგს მობილურზე მოსდის, ზოგსაც — ელექტრონული ფოსტით.

როგორც ელექტროკავშირების სპეციალისტი **გოჩა ფხაკაძე** ამბობს, ძირითადად გავრცელებულია ისეთი შინაარსის ტექსტები, როდესაც ითხოვენ საბანკო ბარათების ნომრებს. იგი ამ მხრივ პარალელს ავლებს შევარდნაძის ეპოქასთან. მაშინ თანხების მითვისების მიზნით ციხეებიდან ზარები მოკლეტექსტური შეტყობინებებით ხდებოდა. შემდეგ თაღლითობის ეს ფორმა, რის წინააღმდეგაც შს ორგანოებმა მკაცრი რეაგირება იწყეს, ნელ-ნელა მივიწყებას მიეცა.

ბოლო ერთ წელია, როგორც ჩვენი მოსაუბრე გვიყვება, მსგავსმა შემთხვევებმა ახალი გაქანება ჰპოვეს. ფულის უკანონოდ დასაკუთრების მსურველთა მეთოდები უფრო დახვეწილი გახდა. ისინი უკვე „მსხვერპლისგან“ პერსონალური მონაცემების გაგებას ცდილობენ. აგზავნიან სხვადასხვა მესიჯებს, თითქოს ამა და ამ პირმა რაღაც კონკურსში გაიმარჯვა, მოიგო რამდენიმე ათასი ლარი, მაგრამ აქვე აცხადებენ თანხის მისაღებ წინაპირობას — გააცნონ მათ საბანკო ანგარიშის ნომერი. ცნობილია, რომ საბანკო პლასტიკური ბარათი მიბმულია საბანკო ანგარიშზე. ნომრის მითითების შემთხვევაში, თაღლითს ეძლევა შესაძლებლობა, თანხა ჩამოაჭრას მფლობელს. არის სხვა მეთოდებიც — მობილურით, რაღაც შეტყობინებას აგზავნიან. აიძულებენ ნომრის მფლობელს, დაურეკოს მესიჯის გამომგზავნს, რომელსაც კარგი შანსი ეძლევა ტელეფონზე დარიცხული თანხის მითვისებისა.

გაუგებრობა სულ უფრო დიდ მასშტაბებს აღწევს. ამგვარი ხრიკებისგან დაზარალებული მოქალაქე (რომელმაც მოითხოვა ინკოგნიტოდ დარჩენა) ჩვენთან საუბარში თაღლითების ამგვარ აღზევებას საბანკო სექტორს აბრალებს. ვინმემ ხომ უნდა დაიცვას მოქალაქეები მსგავსი მაქინაციებისგან. ბანკებმა მეტი კონტროლი უნდა დააწესონ — აცხადებს ინკოგნოტოდ დარჩენის მსურველი.

ბანკები კი თავის ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციით იცავენ თავს. საიტზე ისინი წერენ, რომ მომხმარებელმა არავის შეატყობინოს საკუთარი ბარათის მონაცემები, თვით ბანკის თანამშრომელსაც კი, თუნდაც იყოს ამის დაჟინებული მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში, გვთავაზობენ ემიტენტბანკთან დაკავშირებას და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. მეანაბრეებს გაუგებრობისგან თავის დასაცავად სთავაზობენ რეკომენდაციებს, რომ არ უპასუხონ ელექტრონულ წერილებს, მათ შორის, ისეთებსაც კი, რომლებიც მიღებულია ემიტენტბანკისგან. მომხმარებელი არ უნდა აჰყვეს წერილში აღნიშნულ მითითებას ბაკის ვებ-გვერდზე. ბანკები ინფორმაციული ურთიერთობისთვის კლიენტს სთავაზობენ კავშირგაბმულობის შემდეგ სახეობებს: მობილური და სტაციონალური ტელეფონი, ფაქსი, ინტერაქტიული ვებ-გვერდი ჩვეულებრივი და ელ-ფოსტა და ა.შ., რომლებიც დაფიქსირებულია ბანკის მიერ გაცემულ დოკუმენტებში. აქვე სპეციალისტები გვახსენებენ, რომ მსგავსი აფიორების შედეგად ათასობით ადამიანი დაზარალდა. წლეულს მათი რაოდენობა ასეულობითაა.

ნუ გავხდებით თაღლითების მსხვერპლი და მატერიალურ თუ სხვა მოგებაზე დამოკიდებული, ნუ ავაგდებინებთ მათ თავს — გვაფრთხილებენ ექსპერტები.

ზაზა ბილიხოძე

მეცნიერისა და პედაგოგის სახელოვანი გზა

დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო მეცნიერ-ეთნოლოგს, უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსს, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ კახიძეს.



დაიბადა 1929 წლის 25 დეკემბერს ბათუმის (ამჟამად ხელვაჩაურის) რაიონის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში. მან 1941 წელს წარჩინებით დაამთავრა ჩხუტუნეთის არასრული საშუალო სკოლა, 1950 წელს – აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, 1954 წელს კი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იგი სტუდენტობის წლებში ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. 1953-1954 წლებში მონაწილეობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის IX–X და საქართველოს პედინსტიტუტების სტუდენტთა V-VI რესპუბლიკურ კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა გორსა და ქუთაისში. იგი ხელმძღვანელობდა ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო წრეს, არჩეული იყო ინსტიტუტის პროფკომიტეტის შემადგენლობაში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1954-1962 წლებში, მუშაობდა ჩხუტუნეთის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ. პარალელურად ასრულებდა საზოგადოებრივ და სხვა სახის დავალებებს. ხელმძღვანელობდა ბათუმის რაიონის ისტორიის მასწავლებელთა სექციას.

ბატონი ნოდარ კახიძე 1962-1965 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით. ამ საინტერესო სპეციალობას იგი ეუფლებოდა თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას და მისი მოწაფის პროფესორ მიხეილ გეგეშიძის ხელმძღვანელობით, პროფესორების ვერა ბარდაველიძისა და ალექსი რობაქიძის კონსულტაციებით.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1965 წელს, ნოდარ კახიძე ხელშეკრულებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში. მას დავალებული ჰქონდა აჭარაზე არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის დამუშავება და მასალების კარტოთეკებზე გადატანა, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოს ეთნოგრაფიული ატლასისათვის.

ბატონი ნოდარ კახიძე 1966 წლის სექტემბრიდან დღემდე მუშაობს 1958 წელს დაარსებულ ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1979 წლიდან ეთნოლოგიის განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელია. 2011 წლიდან, როდესაც ინსტიტუტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა, განყოფილებას ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება ეწოდება.

1967 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ნოდარ კახიძემ წარმატებით დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი თემაზე „აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა)“. სადისერტაციო თემაზე მუშაობისათვის მას რეკომენდაცია მისცა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, რომელსაც მაშინ ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. ნ.კახიძის აღნიშნულ საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომს სამეცნიერო საბჭომ დისერტაციის რეცენზენტთა დასკვნის საფუძველზე მაღალი შეფასება მისცა. მთავარი რეცენზენტი, პროფესორი გიორგი ჩიტაია წერდა: „ნოდარ კახიძის ნაშრომი „მაჭახლის ხეობა“ სოლიდური წიგნია, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი შინაარსით, ახალი მასალებისა და საკითხების ახლებურად დასმით... დისერტანტი უნარიანი და გამჭრიახი დაკვირვებული საველე მუშაკია, რომელმაც ბევრი ახალი და საინტერესო მასალა გამოავლინა და მეცნიერებას შესძინა“.





ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის დღიდან იწყება ნოდარ კახიძის ინტენსიური და ნაყოფიერი მეცნიერული საქმიანობა. გამოქვეყნებული აქვს 130-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი. მათ შორის ოთხი მონოგრაფია („მაჭახლის ხეობა“ (ბათუმი, 1974); „ხელოსნობა აჭარაში“ (თბილისი, 1990); „ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“ (ბათუმი, 2004); „ეტრატზე ამეტყველებული ისტორია“ (ბათუმი, 2013), მეცნიერული და სხვა ხასიათის მრავალი საგაზეთო სტატია. მეცნიერმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია საინსტიტუტო ეთნოლოგიური კრებულების („აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები“, „აჭარის სოფელი“, „აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“) მომზადებისა და გამოცემის საქმეში. დღემდე გამოცემულია ამ სერიის 24 კრებული, რომელთაგან ნახევარი მომზადდა და გამოიცა პროფესორ ალ. რობაქიძესთან მისი თანამონაწილეობით. უშუალოდ მისივე რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა სამი ეთნოლოგიური კრებული („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები“), ინსტიტუტის შრომების მეათე ტომი, ჟურნალ „მაჭახელის“ 8 ნომერი, რომლებიც მიეძღვნა მაჭახლობის ყოველწლიურ სახალხო დღესასწაულს. არის 20-მდე სხვა ავტორის მიერ გამოცემული ნაშრომის რედაქტორი და რეცენზენტი, აგრეთვე რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის რეცენზენტი.

პროფესორმა ნოდარ კახიძემ, როგორც რედაქტორმა, ნაყოფიერი მუშაობა გასწია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის მეორე ტომის (მოიცავს პერიოდს მეხუთე საუკუნიდან რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე) მომზადება-გამოცემაში (გამოიცა 2010 წელს). პირადად მან ათი სტატია მოამზადა ამ ტომისათვის. იგი არის აღნიშნული ოთხტომეულის სარედაქციო და საგამომცემლო საბჭოების წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. მისი აქტიური მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე ფერადი ფოტოალბომი „აჭარა“ (2009) და ბუკლეტი „აჭარის აღპური დასახლება“ (2010). დასაბეჭდად გადაცემულია ალბომი „ეთნოგრაფიული აჭარა“.

ნ.კახიძე სისტემატურად კითხულობდა მოხსენებებს საქართველოს ეთნოგრაფთა სამეცნიერო ფორუმებზე (სესიები, კონფერენციები), რომლებიც იმართებოდა თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ზუგდიდში, ახალციხეში. იგი იყო ინიციატორი 1981 წელს ბათუმში ჩატარებული საქართველოს ეთნოგრაფთა მორიგი სამეცნიერო კონფერენციისა. 2010 წელს ხელმძღვანელობდა პირველ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას თურქეთის საზღვრებში მოქცეული მაჭახლის ხეობის (ზედა მაჭახელი) სოფლებში, რომელმაც დღემდე უცნობი საინტერესო მასალები გამოავლინა.

ნოდარ კახიძემ, როგორც მაჭახლის ხეობის მკვიდრმა, პირველმა შეისწავლა ისტორიულ-ეთნოგრაფიულად მაჭახლის ხეობა, რომელმაც წარსულში ფართოდ გაითქვა სახელი საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში ხელოსნობით, კერძოდ, ცეცხლსასროლი (კაჟ-ჩახმახიანი თოფები და დამბაჩები), აგრეთვე ცივი საბრძოლო იარაღების დამზადებით. პირველმა ფართოდ აჩვენა მაჭახლის ხეობის როლი და მნიშვნელობა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და პროფესორ მიხეილ გეგეშიძის რჩევით ბატონმა ნოდარ კახიძემ ასევე პირველად შეისწავლა ხელოსნობის პრობლემური საკითხები ჯერ აჭარის, შემდეგ კი მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. 1990 წელს თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებაში“ გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ხელოსნობა აჭარაში“, ხოლო 2004 წელს გამომცემლობა „აჭარაში“ დაიბეჭდა შემცირებული ვარიანტი სადოქტორო დისერტაციისა („ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“ ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), რომელიც 2001 წლის 16 ნოემბერს დაიცვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. მასში შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული პრობლემები. ნაშრომი მნიშვნელოვანი წვლილია მრავალდარგოვანი ქართული ხელოსნობის ისტორიულ-ეთნოლოგიურ შესწავლაში. ნაშრომი დარგის სპეციალისტთა მიერ აღიარებულ იქნა ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად, რომელშიც პირველად განხორციელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის ტრადიციების ისტორიულ-ეთნოგრაფიული კომპლექსური შესწავლა.

XII-XVII საუკუნეების წერილობითი ძეგლის „ტბეთის სულთა მატიანეს“ საფუძველზე მკვლევარმა შექმნა საყურადღებო გამოკვლევა „ეტრატზე ამეტყველებული ისტორია“. ავტორმა ამ წიგნით მკითხველს გააცნო მატიანის მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეული რეგიონების, მათ შორის, მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსულის, საეკლესიო ცხოვრების, საგვარეულოთა ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, მიგრაციული პროცესების, ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტების შესწავლაში. წიგნი მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა აღნიშნული პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიურ ჭრილში შესწავლისათვის.

პროფესორ ნოდარ კახიძის სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ხელოსნობის საკითხები მთავარი საკვლევი პრობლემა იყო, რომელსაც სამ ათეულ წელზე მეტხანს სწავლობდა. მაგრამ იგი სხვა ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხების შესწავლითაცაა დაინტერესებული. გამოქვეყნებული აქვს საჟურნალო და საგაზეთო სტატიები აჭარაში გავრცელებულ ხალხურ დღესასწაულებზე, გვარ-სახელებზე, ტოპონიმიკაზე, ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხებზე, მუჰაჯირობაზე, აჭარაში მოგზაურ ქართველ და უცხოელ მკვლევარებზე და ა.შ. მან ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი და შეიმუშავა წინადადება-რეკომენდაციები აჭარაში გავრცელებული ტრადიციული ხალხური დღესასწაულის – შუამთობის აღდგენისა და მისი განახლებული სახით ჩატარებაზე, ტბელობის სახალხო დღესასწაულის დაწესებაზე (1978 წელი), ხალხური ხელოსნობისა და შინამრეწველობის საკითხებზე, რამაც თავის დროზე ასევე დადებითი გამოხმაურება და შეფასება ჰპოვა.

ნოდარ კახიძე მუდამ სიახლის ძიებაშია და ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს საინსტიტუტო თუ სხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში. არის სიახლის მაძიებელი, შემოქმედი და ინიციატივიანი. უშუალოდ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის (1933 წელი) 70 და 80 წლებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები. ამ პირველ ექსპედიციას, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისსა და ბათუმში მოღვაწე მეცნიერები, ხელმძღვანელობდა შემდეგში საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. ნოდარ კახიძის თაოსნობით მოეწყო 2009 წელს ინსტიტუტში პირველი მოძრავი ეთნოგრაფიული გამოფენა, რომელშიც წარმოდგენილია ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების ფონდებში ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუნჯებული ფოტო და სხვა საილუსტრაციო მასალები. როგორც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსმა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომის მომზადებასა და ჩატარებაში, რომელიც 2013 წლის 2-3 დეკემბერს გაიმართა.

ნოდარ კახიძე სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ ეთნოგრაფიულ კომისიაში, ამავე პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანი რეგიონების კომპლექსური შესწავლის კომისიის აჭარის ქვეკომისიის სწავლულ მდივნად, საქართველოს საისტორიო საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

პროფესორ ნოდარ კახიძის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით (1983), ხოლო დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით (2000).

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ნოდარ კახიძის მოღვაწეობა, ინსტიტუტში მეცნიერული მუშაობის პარალელურად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1990 წლიდან უნივერსიტეტი). 1970 წლიდან დროგამოშვებით 1990 წლამდე ინსტიტუტის რექტორატის მიწვევით, ხელშეკრულებით ლექციებს კითხულობდა ისტორიის ფაკულტეტზე შუა საუკუნეებისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. 1975 წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ („ვაკი“) ისტორიის კათედრის წარდგენით მიანიჭა დოცენტის წოდება შუა საუკუნეების ისტორიაში. 1990 წლიდან 2010 წლის ჩათვლით ძირითად შტატში ლექციებს და სპეცკურსებს კითხულობდა ზოგად, ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ეთნოლოგიაში, ისტორიულ მხარეთმცოდნეობაში, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხებზე. უშუალოდ ბატონ ნოდარ კახიძის სახელს უკავშირდება უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე 1990-იანი წლებიდან ლექციების კურსის შემოღება ზოგად და საქართველოს ეთნოლოგიაში. ამავე საგნებში კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. აგრეთვე, აჭარის (გონიოს) კოოპერაციულ ინსტიტუტში. 2004 წელს არჩეული იქნა პროფესორად, 2009 წელს კი სრულ პროფესორად.

ნოდარ კახიძე აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის, უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო ცენტრის საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ორი საკანდიდატო დისერტაცია, სტუდენტთა ორმოცამდე საკურსო და ათი საკონფერენციო, რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი. იგი სტუდენტებს არა მარტო ასწავლიდა, არამედ პირადი მაგალითით ზრდიდა და აყალიბებდა მოქალაქეებად.

პროფესორი ნოდარ კახიძე, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში დღესაც სავსე ენერგიით განაგრძობს მუშაობას. მის მიერ მრავალი ათეული წლის მანძილზე გაწეული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა სამაგალითოა მისი უმცროსი კოლეგებისათვის, ყველა იმათთვის, ვინც სამეცნიერო სარბიელზე მუშაობს.

ბატონი ნოდარ კახიძე არა მარტო კარგი მეცნიერი მკვლევარია, არამედ არის შესანიშნავი ოჯახის მამა და ბაბუა. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და სამი შვილიშვილი. მხურვალედ ვულოცავთ მას დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, ოჯახურ სიხარულს და ბედნიერებას, წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

როინ მალაყმაძე,
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი;

ბიჭიკო დიასამიძე,
ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი, ემერიტუს-პროფესორი;

თამაზ ფუტკარაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

◎ პროგნოზი

როგორ აისახება რუსული ეკონომიკის კრახი საქართველოზე?

რუსეთის ფედერაციაში ფინანსური კრიზისი მწვავდება. რუბლის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ყოველდღიურად ეცემა. ვალუტის გაუფასურებისა და ნავთობის ფასების შემცირების გამო ბაზარზე პროდუქციის ფასი მკვეთრად იმატებს, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.

მსოფლიო რუსული ეკონომიკის კრახს წინასწარმეტყველებს — „ბოდიში, პუტინო, რუსული ეკონომიკა განწირულია", — ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას Washington Post-ის ეკონომიკური მიმომხილველი მეთ ო'ბრაიენი.

სტატიაში ნათქვამია, რომ ვიდრე ვლადიმირ პუტინი დასავლეთთან სტრატეგიული თამაშებით იყო დაკავებული, რუსული ეკონომიკა დაინგრა.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა საბაზისო განაკვეთი 10,5-დან 17%-მდე გაზარდა და ამით რუბლის ვარდნის შეჩერებას შეეცადა, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში დოლართან მიმართებაში 50%—ით გაუფასურდა. ეს განწირული ნაბიჯი არის მცდელობა, გადაარჩინოს რუსეთის ვალუტა რუსული ეკონომიკის ხარჯზე, ამიტომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს იმუშავებს, მომავალში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

სადამდე შეიძლება გამწვავდეს სიტუაცია და რა გავლენას მოახდენს საქართველოზე რუსეთის ჩამოშლილი ეკონომიკა? — ამ თემაზე გვესაუბრება ექსპერტი ***ემზარ ჯგერენაია.***

— ის, რაც მოხდა ამ დღეებში, — ამბობს იგი, **— რუსეთისთვის კატასტროფა იყო, რუბლის ასეთი გაცვლითი კურსი 1998 წლის კრიზისის შემდეგ აღარ ახსოვს რუსეთს. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის ეროვნულმა ბანკმა გუშინ 7 მილიარდი გაიღო რუბლის გასამყარებლად. რუბლი რამდენიმე პუნქტით გამყარდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ესეც დროებითია.**

ამ ფონზე დასავლეთის მხრიდან გუშინ კიდევ გავრცელდა განცხადება ახალი ინიციატივის შესახებ, რომელიც რუსეთის მიმართ ახალ სანქციებს ითვალისწინებს, რაც რუსეთის ეკონომიკისთვის საბოლოოდ წელში გაწყვეტას ნიშნავს.

— ათასგვარი პროგნოზები კეთდება რუსეთის შესახებ, არსებობს მოსაზრებაც რუსეთის დაშლამდე მიყვანის შესახებ. თეორიულად, შესაძლებელია თუ არა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ რუსეთის ერთიანობის საკითხი ეჭვქვეშ დააყენოს? ან რეგიონის ეკონომიკაზე ეს ყველაფერი როგორ აისახება?

— რუსეთი სადამდე შეიძლება მივიდეს, პროგნოზირება ძნელია. დაშლას რაც შეეხება, თეორიულად, ესეც შესაძლებელია, თუმცა, მსოფლიოს დღემდე აწუხებს რუსეთის ატომური შეიარაღება. ამიტომ, არ მგონია, საქმე აქამდე მივიდეს.

ბოლო 10-15 წელია, პუტინი „თეთრ ცხენზე ამხედრებული" დადის მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე და ვფიქრობ, ამ „თეთრი ცხენიდან" ჩამოაბრძანებენ და აიძულებენ, გაჰყვეს მსოფლიოს პროგრესული ნაწილის რჩევებს.

ძალიან ძვირად დაუსვამენ უკრაინაში შეჭრას, მაგრამ მსოფლიო არ არის მზად იმისათვის, რომ დაშლილი რუსეთი იხილოს.

— რამდენად შეიძლება დამძიმდეს ეკონომიკური მდგომარეობა?

— ერთი, რაც ჩანს, ის არის, რომ დასავლეთი უკან დახევას არ აპირებს. შემიძლია, ვთქვა, რომ აქედან გამომდინარე, 2015 წლის პირველ ნახევარში ბარელი ნავთობის ფასი დაახლოებით 504-ის ირგვლივ იტრიალებს. ვფიქრობ, ამით ეცდებიან მთლიანად დაახარჯინონ რუსეთს როგორც სავალუტო რეზერვები, ასევე არასაბიუჯეტო ფონდები და მიაღებინონ ის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც სურთ. რა დონის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მოსთხოვენ საფასურად რუსეთს, ამის პროგნოზირება ყველას გაუჭირდება.

— 1998 წლის რუსეთის კრიზისი საქართველოზეც აისახა, თუმცა, მაშინ სავაჭრო ბრუნვის მოცულობით რუსეთი საქართველოს პირველი პარტნიორი ქვეყანა იყო. დღეს, როდესაც რუსეთი აღარ არის ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორი, რა გავლენას იქონიებს მიმდინარე კრიზისი ქართულ ეკონომიკაზე?

— ერთი მხრივ, გვიხარია, რომ ჩვენს მტერს პრობლემებს უქმნის დასავლეთი — ახლა უკვე რუსეთს საკუთარ ეკონომიკაზე უწევს კონცენტრაციის გადატანა და არა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების მიტაცებაზე, როგორიცაა უკრაინა, საქართველო თუ აზერბაიჯანი.

მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის ქვეყანა, რომელიც ფინანსური ნაკადების გენერაციის წყაროა ჩვენი ქვეყნისთვის — ლარის კურსს უკვე საგრძნობი ზიანი მიაყენა — და, ბუნებრივია, ეს არის ქვეყანა, რომელიც მართალია, მეოთხე დონის, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად, სავაჭრო პარტნიორია საქართველოსი.

პროცესებს, რაც მოსალოდნელია, მომზადებულები უნდა შევხვდეთ — უნდა გავთვალოთ ყველაფერი, პლუსებიც და მინუსებიც, დღე და ღამე უნდა ვაკეთოთ ანალიტიკა — ჩვენთანაც ისედაც რთული პროცესები მიმდინარეობს — ლარი რამდენიმე პუნქტით დაეცა, ამ პროცესს უკვე სერიოზული დაფიქრება და ანალიზი სჭირდება, რომ მეტ-ნაკლებად, მომზადებულები დავხვდეთ და ნაკლები დანაკარგებით გადავლახოთ ეს პერიოდი.

საკმაოდ რთული მდგომარეობაა ჩვენს ირგვლივ, დღეს ის სიტუაციაა, როდესაც გარეგანი ფაქტორები გვკარნახობს, ქვეყნის შიგნით რა მოხდება.

— რომ დავაზუსტოთ ლარის გაუფასურების რომელი ეტაპი იყო გამოწვეული რუსული ფაქტორით?

— პირველ ეტაპზე, სხვა ფაქტორები უფრო იყო წინ წამოწეული. ახლა უკვე აშკარად გარეგანი ფაქტორებითაა გამოწვეული.

— ვიდრე რუსეთს საქართველოსთვის არ სცალია, რა შეიძლება გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს ამ სიტუაციიდან?

— ევროკავშირი დღეს იღებს რეზოლუციას საქართველოს შესახებ და, ჯერჯერობით, ეს არის ყველაფერი, რაც შეიძლება გაკეთდეს. ჩვენ ვერ ვისარგებლებთ რუსეთის სისუსტით და ომს ვერ დავიწყებთ. ერთადერთი რამ შეუძლია საქართველოს — გააქტიუროს დიპლომატიური არხები დასავლეთის მიმართულებით, რომ გაძლიერდეს რუსეთზე ზეწოლა, ხოლო, მეორე მხრივ, მოსთხოვოს ევროპას კონკრეტული ნაბიჯები ეკონომიკური დახმარების კუთხით.

რუსეთის მიმართ სანქციები და რუსული ეკონომიკის ნგრევა აუცილებლად მოგვიტანს უარყოფით შედეგს. აქ უნდა ვთხოვოთ ევროპას დახმარება, რომ უმტკივნეულოდ გადავიტანოთ ეს პროცესი.

— რა ტიპის დახმარებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?

— ყველა ტიპის — შეიძლება ეს იყოს ფულადი დახმარება, გრანტებზე შეიძლება იყოს ლაპარაკი და ა.შ. გარდა დიპლომატიისა, ევროპისთვის დახმარების თხოვნისა და სიტუაციის ანალიზისა, სხვა „მკვეთრი მოძრაობების" აუცილებლობას ვერ ვხედავ.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ საქართველო მომზადებული უნდა დახვდეს იმ შედეგებს, რაც რუსული ეკონომიკის კრიზისით იქნება გამოწვეული, კონკრეტულად რა პროცესებია მოსალოდნელი?

— შემცირდება, პრინციპში, უკვე შემცირდა ფულადი გზავნილების მოცულობა — უამრავი ქართველი მუშაობს რუსეთში და საქართველოში აგზავნის ფულს — ამ კუთხით რუსეთი ერთ-ერთი სერიოზული სავალუტო მომწოდებელი იყო ჩვენთვის. ამ მიმართულებით უნდა გავააქტიუროთ მუშაობა სხვა ქვეყნებთან, უფრო მეტი ხელშეკრულება დავდოთ, ვიმუშაოთ შრომით ბაზრებთან დაკავშირებით; ემიგრაციის შესახებ კანონს გადავხედოთ; ევროპასთან უვიზო მიმოსვლის დაწყების პროცესი დავაჩქაროთ, რომ იმ ადამიანებმა ვინც სამუშაო დაკარგეს, ევროპაში ჩასვლა და მუშაობის დაწყება შეძლონ.

ექსპორტი, რომელიც რუსეთზე იყო მიბმული, როგორმე სხვა ქვეყნებში უნდა გადანაწილდეს და ა.შ. ასე რომ, საკმაოდ ბევრი და სერიოზული გამოწვევები ელის საქართველოს.

მარიამ თოდაძე

დედამიწის ზურგზე

ჩინეთში 8 წლის ბიჭს დევნიან სოფლიდან იმიტომ, რომ მას შიდსი აღმოაჩნდა

ბავშვს დიაგნოზი სამი წლის წინათ დაუსვეს. გამოირკვა, რომ ის შიდსით დედის საშოში დაავადდა. როდესაც ბავშვის მდგომარეობის შესახებ ფართოდ გახდა ცნობილი, იგი გარიცხეს სკოლიდან. დეკემბრის დასაწყისში კი სოფლის 200-ზე მეტმა მცხოვრებმა ხელი მოაწერა პეტიციას ხელისუფლებისადმი თხოვნით — გადააგზავნონ იგი სხვა ადგილას.

* * *

ნიგერიაში უარისთვის — იბრძოლონ „ბოკო ხარამთან" — 54 ჯარისკაცი სიკვდილით დასაჯეს

ადვოკატის სიტყვებით, კიდევ ხუთი ეჭვმიტანილი სასამართლომ გაამართლა. სამხედრო მოსამსახურეები დამნაშავედ ცნეს ამბოხებაში იმისთვის, რომ უარს აცხადებდნენ მონაწილეობა მიეღოთ ოპერაციაში იმ სამი ქალაქის გათავისუფლებისთვის, რომლებიც აგვისტოში ბოევიკებმა ჩაიგდეს ხელთ. ყველა ჯარისკაცმა არ აღიარა თავისი დანაშაული. სასამართლო ოქტომბერში დაიწყო და დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

* * *

ებოლის მსხვერპლთა რიცხვი 7 ათას მიუახლოვდა. გვინეაში რუსეთის ფედერაციის მობილური ჰოსპიტალი გაშალეს

იმ ადამიანების რიცხვმა, რომლებიც ციებ-ცხელება ებოლათი დასნებოვნდა, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 18603-ს მიაღწია, მათგან 6915 გარდაიცვალა. ციებ-ცხელებით მოცულ ქვეყნებში გაემგზავრა გაეროს გენერალური მდივანი, გვინეაში ჩავიდნენ რუსი სამხედრო მედიკოსები. მათ გაშალეს მობილური ჰოსპიტალი 200 პერსონაზე.

◎ ფქვილის ფასი იგივე რჩება

რუსეთმა ხორბალი შეგვიზღუდა

რუსეთმა **რიგ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც, ხორბლის ექსპორტის შეზღუდვის გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოში ლარის კურსი მერყევია და თუ ამას ჩრდილოეთიდან ხორბლის იმპორტის შეფერხებაც დაემთხვა, პურპროდუქტების ბიზნესში, შესაძლოა, რისკები ფორსმაჟორულად შეაფასონ. ადგილობრივ ბაზარზე შემოსული ხორბლის 90% სწორედ რუსეთზე მოდის.**

საქართველოში ამ დროისათვის ვერ სრულდება რამდენიმე კონტრაქტი, რუსეთიდან ხორბლის იმპორტის თაობაზე. ამის მიზეზად კი სპეციალისტები „როსსელხოზნადზორის" მიერ ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაუცემლობას ასახელებენ.

საქართველოს მეხორბლეთა ასოციაციაში განმარტავენ, რომ სწავლობენ საკითხს ხორბლის იმპორტის შეფერხების თაობაზე, თუმცა, დასძენენ, რომ შეზღუდვა, სავარაუდოდ, „როსსელხოზნადზორის" ინიციატივას უკავშირდება.

„ჯიეიჩენის" ინფორმაციით, რუსეთის ქმედების მთავარ მოტივად ქვეყნის შიგნით კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა სახელდება. პარალელურად, იმატა ამერიკული ხორბლის კვოტირებამაც. მარტის ფიუჩერსული ვაჭრობის შედეგების მიხედვით, 1 ტონა ე.წ. რბილი ხორბალი 1,56 დოლარით გაძვირდა და 229 დოლარს მიაღწია, ხოლო ე.წ. მაგარი ხორბლის ფასი კი 2,84 დოლარით გაძვირდა და 1 ტონა 240,57 დოლარი ღირს.

ამ გადაწყვეტილებით საქართველო მსხვილ მომწოდებელს კარგავს. მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელის ლევან სილაგავას ინფორმაციით, ადგილობრივ ბაზარზე შემოსული ხორბლის 90% რუსეთზე მოდის, მცირე ნაწილი უკრაინიდან და ყაზახეთიდან შემოდის. ბოლო წლებში რუსეთი მთავარი იმპორტიორი გახდა.

„რუსული ხორბალი იაფი და ხარისხიანია, შესაბამისად, იმპორტიორი ქვეყნები მასზე დამოკიდებულნი არიან. ერთადერთი გამოსავალი ყაზახეთია, სადაც მოლაპარაკებები იმპორტის ზრდასთან დაკავშირებით საქართველომ უკვე უნდა დაიწყოს. ყაზახეთს აქვს საკმარისი მარაგი იმისთვის, რომ რუსული ხორბალი ჩაანაცვლოს", — აცხადებს წისქვილკომბინატების ასოციაციის ხელმძღვანელი.

საქართველოში ლარის გაუფასურებამ, რუსეთში ხორბლის გაძვირებამ და ახლა უკვე შეზღუდვამ და სხვა პროცესებმა ცუდად იმოქმედა ადგილობრივ ბაზარზე, თუმცა, პურის ფასის გაძვირება არ იგეგმება.

„წინაპირობა არ არის, რომ პურის ფასი გაძვირდეს, ფქვილიდან გამომდინარე, არ არის ფასის მატება ნავარაუდევი. ხორბალი ცოტათი გაძვირდა — 1 ტონა გახდა 280 დოლარი. მარაგები გვაქვს 2 თვის. ეს რყევა დიდად არ შეეხება პურს. 2 თვის შემდეგ რა იქნება, ეს უკვე საერთაშორისო პროცესებზეა დამოკიდებული", — განაცხადა სილაგავამ.

ფქვილის ამჟამინდელი ფასი, 35-37 ლარი, არ არის ის ფასი, რომლითაც შეიძლება პური გაძვირდეს. სილაგავას განმარტებით, პურის ფასი იმატებს დაახლოებით 45 ლარზე, ამ ნიშნულამდე კი საკმაო შუალედია.

პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძეც ადასტურებს, რომ ფქვილის მარაგი არის და, შესაბამისად, ფასის ცვლილება ამ დროისთვის არ არის ნავარაუდევი.

„რაც იყო ფქვილის ფასი, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ჯერჯერობით არ არის ნავარაუდევი გაძვირება. 50-კილოგრამიანი ტომრის ფასი იგივეა და 36-37 ლარს შეადგენს. კონკურენციაა და ფასი სტაბილურია", — განაცხადა დოლიძემ.

უცხოელი ექსპერტები განმარტავენ, რომ რუსეთის ხელისუფლების პირობის მიუხედავად, არ დაეწესებინათ საგარეო ბაზარზე ხორბლის გატანის შეზღუდვა, „როსსელხოზნადზორი" ფიტოსანიტარიული სერტიფიკატების გაცემას მაინც ზღუდავს. აღნიშნულ პრობლემას უკვე ყურადღება მიაქციეს აშშ-შიც.

ბექა დანელია

ყოველკვირეული

„ოიოიბოი“ სტუმარი

ვახტანგ ჯავახაძე — „ეროვნული ფასეულობა ის ადამიანია, ვინც ეროვნულ ფასეულობებს ქმნის“

ვახტანგ ჯავახაძე და ქალაქის სპორტული ცხოვრების ერთ-ერთ ინიციატორ, ბატონ ალექსანდრ ფანცულაიას

◎ ჭადრაკი

ყუფარაძემ ყველას აჯობა

საქართველოს თასის გათამაშებაში (საპრიზო ფონდი 12.000 ლარი), რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა, სხვადასხვა კუთხის 62 წარმომადგენელი მონაწილეობდა. **ვაჟებში** ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი გიგა ყუფარაძემ დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ დავით ჯოჯუა და შოთა აზალაძე, რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. 6,5-6,5 ქულით ლუკა პაიჭაძეს, ზვიად ფაციას და კონსტანტინე შანავას მეოთხე-მეექვსე ადგილები ერგოთ. **ქალებში** 6-6 ქულით პირველ-მესამე ადგილებზე ნინო ხურციძე, მირანდა მიქაძე და ალექსანდრა ვახანია გავიდნენ. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს თასები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

გივი გაგუა

◎ ხელბურთი

ბაჰრეინი და საამიროები არ ითამაშებენ

გაისად 15 იანვრიდან ყატარი ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. სააგენტო ალ-ჯაზირას ცნობით, ამ შეჯიბრებას პოლიტიკური მიზეზით ბაჰრეინისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ხელბურთის ფედერაციებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ეს ორი ქვეყანა ყატარის უახლოესი მეზობელია. ჯერ კიდევ მარტში ბაჰრეინმა და საამიროებმა საუდის არაბეთთან ერთად თავიანთი ელჩები გამოიწვიეს დოჰადან და ყატარის ხელისუფლებას ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში მუსლიმი ფუნდამენტალისტების მხარდაჭერაში დასდეს ბრალი. ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ორი ქვეყნის ნაცვლად ისლანდია და საუდის არაბეთი იასპარეზებენ.

ყატარში 24 ქვეყნის ნაკრები გუნდები მოსინჯავენ ძალებს. ისინი 4 ჯგუფში არიან გადანაწილებული:

A ჯგუფი: ესპანეთი, სლოვენია, ყატარი, ბელარუსი, ბრაზილია, ჩილე.

B ჯგუფი: ხორვატეთი, ბოსნია, მაკედონია, ავსტრია, ტუნისი, ირანი.

C ჯგუფი: საფრანგეთი, შვედეთი, ალჟირი, ჩეხეთი, ეგვიპტე, ისლანდია.

D ჯგუფი: დანია, პოლონეთი, რუსეთი, არგენტინა, საუდის არაბეთი, გერმანია.

ჩემპიონატი 2 თებერვლამდე დოჰასა და დედაქალაქიდან 23 კილომეტრით დაშორებულ ლუსაილში გაიმართება. დოჰაში ორი ახალი დარბაზი 7700 და 5500, ლუსაილის დარბაზი კი 15300 მაყურებელს დაიტევს. 15-23 იანვარს ჯგუფური ტურნირი, 25-26 იანვარს – მერვედფინალები, 28 იანვარს – მეოთხედფინალები და 30 იანვარს ნახევარფინალები გაიმართება, ჩემპიონის ვინაობას კი 1 თებერვალს შევიტყობთ.

ლეჟსო ცინცაძე

უძლიერესთა კვარტეტი

დღეს ევროპის ქალთა სახელბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალში ბუდაპეშტში ითამაშებენ ნორვეგია-შვედეთი და მონტენეგრო-ესპანეთი.

ევროპის ჩემპიონატი 2014. ქალები. უნგრეთი-ხორვატეთი.

მეორე ეტაპი.

1 ჯგუფი, დებრეცენი.

პოლონეთი – რუმინეთი 19:24, ესპანეთი-დანია 29:22, უნგრეთი – ნორვეგია 29:25.

საბოლოო მდგომარეობა: ნორვეგია – 8, ესპანეთი – 6, უნგრეთი – 6, დანია – 5, რუმინეთი – 5, პოლონეთი – 0 ქულა.

მე-2 ჯგუფი, ზაგრები.

შვედეთი – მონტენეგრო 29:30, გერმანია – სლოვაკეთი 36:22, ჰოლანდია – საფრანგეთი 18:20

საბოლოო მდგომარეობა: მონტენეგრო – 8, შვედეთი – 7, საფრანგეთი – 7, ჰოლანდია – 5, გერმანია – 3, სლოვაკეთი – 0 ქულა

კობა კობახიძე

◎ ძიუდო

ქალებმა ჩემპიონები ექვს წონაში გამოავლინეს

გორში დამთავრდა ძიუდოისტ ქალთა საქართველოს ჩემპიონატი. გამარჯვებულები და პრიზიორები ექვს წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ფაქტობრივად, შარშანდელი ჩემპიონები ავიდნენ, მხოლოდ მძიმე წონაში 2013 წლის გამარჯვებულ ირინა ლეონიძეს ვიცე-ჩემპიონმა ელენე ქებაძემ აჯობა. ქომაგთა სიმპათიები დაიმსახურა 14 წლის მარიამ ჭანტურიამ, რომელმაც მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

კვარცხლბეკი

48 კგ. 1. ოლიკო ალადოშვილი (თბილისი), 2. ხატია შარაძე, 3. მეგი აბუსერიძე (ორივე – აჭარა), ლია როგავა (თბილისი).

52 კგ. 1. მზია ბებოშვილი, 2. სალომე მარგიანი (ორივე – თბილისი), 3. მარი მახარაშვილი (გორი), ნინო მგელაძე (აჭარა).

57 კგ. 1. სალომე აბაშიძე (აჭარა), 2. მარიამ ჭანტურია (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 3. ქრისტინა მამულაძე (აჭარა), ვარდო ლოლუა (თბილისი).

63 კგ. 1. შორენა შარაძე (აჭარა), 2. ნათია მიქაბერიძე (თბილისი), 3. ელისო სისაური, ნინო მარტიაშვილი (ორივე – კახეთი).

70 კგ. 1. თეონა სუხიტაშვილი (კახეთი), 2. სალომე მჭედლიშვილი, 3. ნია ნატროშვილი (ორივე – თბილისი), სოფიო ბერიძე (აჭარა).

+78 კგ. 1. ელენე ქებაძე (კახეთი), 2. ირინა ლეონიძე, 3. მალვინა კირკიტაძე (ორივე – აჭარა), სოფიო სომხიშვილი (თბილისი).

ლაშა დიდია

◎ არჩევანი

ევროპის 2014 წლის საუკეთესო კალათბურთელის ნომინაციას ათეული შემორჩა

ფიბა-ევროპამ ბებერი კონტინენტის ის 10 კალათბურთელი დაასახელა, რომლებიც ევროპის 2014 წლის საუკეთესო მოთამაშის პრიზზე პრეტენზიას აცხადებენ. ამ 10 სპორტსმენიდან უმეტესობა პლანეტის უძლიერეს ლიგა NBA-ში ასპარეზობს.

ევროპის 2014 წლის საუკეთესო კალათბურთელის ვინაობა 2015 წლის იანვარში გაირკვევა, პრეტენდენტთა სია კი ასე გამოიყურება: იონას ვალანჩუნასი (ლიტვა, „ტორონტო“ – NBA), პაუ გასოლი (ესპანეთი, „ჩიკაგო“ – NBA), ტონი პარკერი (საფრანგეთი, „სან ანტონიო“ – NBA), დირკ ნოვიცკი (გერმანია, „დალასი“ – NBA), გორან დრაგიჩი (სლოვენია, „ფინიქსი“ – NBA), ბორის დიაო (საფრანგეთი, „სან-ანტონიო“ – NBA), მილოშ ტეოდოსიჩი (სერბეთი, ცსკა, რუსეთი), ალესანდრო ჯენტილე (იტალია, „ოლიმპია“ – სლოვენია), ბოგდან ბოგდანოვიჩი (სერბეთი, „ფენერბახჩე“ – თურქეთი), სერხიო როდრიგესი (ესპანეთი, „რეალი“ – ესპანეთი).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

სამხრეთ ამერიკის სახელით

როგორც მოგეხსენებათ, წლეულს არგენტინის ნაკრებმა ბრაზილიური მუნდიალის ფინალში ითამაშა და აგუეროსა და დი მარიას ტრავმები რომ არა, ვინ იცის, იქნებ გვირგვინიც დაედგა თავზე.

სეზონის მიწურულს ანალოგიურ წარმატებას „სან ლორენცომაც“ მიაღწია, რომელიც ხვალ მაროკოში მიმდინარე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის სატიტულო ბრძოლაში მადრიდის „რეალს“ შეხვდება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლა-პლატას ნაპირებზე სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა ისევ დიდ პატივშია და იქაური ფეხბურთი ელიტაში რჩება.

საკვირველი ის უფროა, ახალზელანდიური მეტოქის – „ოკლენდის“ დასამარცხებლად ლიბერტადორესის თასის მფლობელს ძირითადი დრო რომ არ ეყო, თუმცა, სამართალმა პური საბოლოოდ მაინც ჭამა და რომის პაპის – ფრანცისკის საყვარელმა გუნდმა მძიმე გამარჯვება მოიპოვა – 2:1 (ბარიენტოსი, მატოსი).

გიორგი ზოთაძე



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი

აკაკი მეგრელაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

◎ ინტერნეტიდან

კარამბეები ოფიციალურად დაშორდნენ

დღეები გადის, წლები ერთმანეთს ენაცვლება, იცვლება დრო და შეხედულებები, მაგრამ ევროპული პრესისათვის მარადიულ თემად რჩება ვეტერანი ფრანგი ფეხბურთელის კრისტიან კარამბესა და მისი მომხიბვლელი აწ უკვე ყოფილი ცოლის ადრიანა სკლენარიკოვას უცნაური სიყვარულის ისტორია.

ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა ფრანგულმა „ყვითელმა“ ჟურნალმა გაავრცელა ჭორი, რომ თითქოს ეს წყვილი 13-წლიანი თანაცხოვრებისა და დაშორების შემდეგ ისევ შერიგდა.

ეს ჭორი რომ კრისტიან კარამბეს გაუგია, ერთი ამბავი აუტეხავს – ჟურნალის რედაქციაში მისულა და ყველას დაუმტკიცა, რომ მათი ურთიერთობა აღარასოდეს გაგრძელდება. კი ამბობენ, ეს წყვილი მსოფლიოში ყველაზე შეუფერებელი იყოო, მაგრამ სიყვარულს რას გაუგებ?!...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ გამოფენა

სარკმელი თენგიზ აბულაძის შემოქმედებით სამყაროში



გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის, მე-20 საუკუნის კინოხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის თენგიზ აბულაძის დაბადებიდან 90 წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გამოფენა გაიხსნა.

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით მოწყობილ გამოფენაზე თენგიზ აბულაძის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალაა წარმოდგენილი როგორც მუზეუმის, ასევე ოჯახის კერძო არქივიდან.

თენგიზ აბულაძის შემოქმედებაზე, რომელიც ქართული კინოს ისტორიაში გამორჩეული ტრილოგიის — „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „მონანიება“ — ავტორია, ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება, ამ ჯერზე კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არამარტო ქართულ, მსოფლიო კინომატოგრაფიაშიც კი ძალიან ძნელია მეორე კინორეჟისორის მოძებნა, რომლის ქმნილებებში ესოდენ ორგანულად იყოს შერწყმული ტრაგიზმი და რომანტიზმი, უკიდეგანო სიყვარული და უსაზღვრო კაცთმოძულეობა, ერთგულება და ღალატი, მიამიტობა და ვერაგობა, ბოროტების უფსკრული და სიცოცხლის უზომო სიყვარული...

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო სივრცეში, რომელსაც უკვე კარგა ხანია შემოკლებით „ხელოვნების სასახლეს“ უწოდებენ, სტუმრები ნახავენ ფილმებზე მუშაობის პროცესში გადაღებულ ფოტოებს, ფილმების დეკორაციებისა და პერსონაჟთა კოსტიუმების ესკიზებს, კარდირერების ნახაზებს, აფიშებს, წერილებს. გამოფენაზე წარმოდგენილია ასევე თავად ორიგინალური კოსტიუმებიც — ფუფალას სამოსელი კინოფილმიდან „ნატვრის ხე“, ქეთევან ბარათელის ტანსაცმელი და ნინო ბარათელის ლაბადა და შარფი „მონანიებიდან“. აქვე გამოფენილია დიდი კინორეჟისორის ფრაკი, რომელიც მას კანის ფესტივალზე ეცვა და თავად საქვეყნოდ ცნობილი „ნატვრის ხე“, რომელიც თენგიზ აბულაძის ერთგვარ სადარბაზო ბარათად იქცა. თუმცა, ეს გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატთა მხოლოდ მცირედი ნაწილის ჩამონათვალია, რაშიც მნახველები თავადაც დარწმუნდებიან.

თენგიზ აბულაძის ფილმებმა, რომლებმაც ღირსეული საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართულ და მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორიაში, ყველა ქვეყნის კინოეკრანები შემოიარეს და საყოველთაო აღიარება მოიპოვეს. დიდი შემოქმედის ნამუშევრები აღნიშნულია, კერძოდ, კანის (საფრანგეთი) IX საერთაშორისო კინოფესტივალის გრან-პრით, რომელიც „მაგდანას ლურჯას“ ერგო, პრემია „ვერცხლის ნეადა“ პორეტატერმეს (იტალია) საერთაშორისო კინოფესტივალზე „სხვისმა შვილებმა“ მიიღო, 1977 წელს თეირანის VI საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი ოქროს „ფრთოსანი ჯიხვი“ თენგიზ აბულაძეს საუკეთესო რეჟისურისთვის მიენიჭა, ხოლო 1979 წელს იტალიაში საერთაშორისო კონკურსზე — პრემია დონატელოს „დავითი“. 1983 წელს კი კაბურში გამართულ რომანტიკული ფილმების I საერთაშორისო კინოფესტივალზე კინოშედევრმა „ნატვრის ხემ“ კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრემია „ფიპრესით“ აღინიშნა.

გასულ სამშაბათს ხელოვნების სასახლეში თენგიზ აბულაძის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნას მისი კოლეგები, კინორეჟისორები, ოპერატორები, სცენარისტები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები, რიგითი კინომოყვარულები დაესწრნენ, რომლებმაც გულთბილი სიტყვები არ დაიშურეს ამ ჭეშმარიტი შესანიშნავი შემოქმედისა და გამორჩეული პიროვნების მიმართ.

გამოჩენილი კინორეჟისორის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა ხელოვნების სასახლეში 23 დეკემბრამდე გასტანს.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ეპიტაფია

ალიმ ჯაფარიძე



ამა წლის 16 დეკემბერს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა **ალიმ ჯაფარიძე,** — ცნობილი სამეურნეო და პროფკავშირული მუშაკი, საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, კეთილი კაცი, მინდობილი საქმის პროფესიონალი.

ალიმ ჯაფარიძე დაიბადა 1935წ. 15 თებერვალს ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელში. 1953წ. საშუალო სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია.

ბატონ ალიმს მუშაობა მოუწია საქართველოს საკონსერვო მრეწველობის ობიექტებზე რიგითი ტექნოლოგიდან დაწყებული — დირექტორამდე.

1967-1985 წწ. მუშაობდა საკავშირო კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ბოლოს — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ და დირექტორად. გარდა აღნიშნულისა, ალიმმა მრავალი წლები იმუშავა თეთრი წყაროს საკავშირო საკონსერვო კომბინატის დირექტორად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს საკონსერვო მრეწველობის განვითარებაში, მისი ხელმძღვანელობით დაინერგა მრავალი სიახლე, რის შედეგადაც თავის დროზე ქვეყანამ მრავალმილიონიანი ეკონომიური ეფექტი მიიღო. გამოქვეყნებული ჰქონდა 16 სამეცნიერო შრომა და 2 სახელმძღვანელო.

ბატონ ალიმს მუშაობა მოუწია პროფკავშირულ ორგანიზაციებში. 1985 წლიდან დაინიშნა კვებისა და თევზის მრეწველობის, კოოპერატივებისა და მცირე ბიზნესის მთავარ ტექნიკურ ინსპექტორად, ბოლოს არჩეული იყო მცირე ბიზნესში დასაქმებულ მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ, შემდეგ კი აირჩიეს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილედ, ამავე დროს ბატონი ალიმი გამორჩეული იყო თავისი ნიჭით, — ხელმძღვანელობდა ფოლკლორულ ანსამბლ „ბერმუხებს“ და ატკბობდა მის კოლეგებს, ვეტერანებს და მეგობრებს ქართული ჰანგებით.

მიღებული ჰქონდა მრავალი მადლობა და სახელმწიფო ჯილდო.

ბატონი ალიმი იყო უაღრესად კეთილი, თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მივუსამძიმროთ ალიმ ჯაფარიძის ძვირფას მეუღლეს, ქალბატონ თინას და მთელ ოჯახს ეს დიდი დანაკლისი.

მშვიდობით ჩვენო ძმაო, — დაე, საქართველოს მიწა მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის.

ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი
ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი
ფოლკლორული ანსამბლი „ბერმუხები“

პანაშვიდი 19 დეკემბერს (პარასკევი) 16 სთ. გამოსვენება 20 დეკემბერს (შაბათი) 14 სთ. მუხათგვერდის სასაფლაოზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ატენის ქუჩა, კორპუსი 3 (ერთ სადარბაზოიანი), XV სართული, ბინა 29.

შვილები ირინე, მაია, მიხეილი, შვილიშვილები დავითი, მარიამი, ანა, ლიზი, ირაკლი, დები ინგა, ლაურა რაზმაძეები, სიძე მალხაზ საბაძე, რძალი ნათია რაზმაძე იუწყებიან

გივი შალვას ძე რაზმაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20 XII, 16 სთ. მის: ცინცაძის 85 (ყოფილი საბურთალოს ქ. 63). გამოსვენება 21 XII, 13 სთ. დაკრძალვა სოფ ბიწმინდში 14 სთ.

ჭუმბურიძეთა გვარს უდროოდ გამოაკლდა ბრწყინვალე ახალგაზრდა, სიყვარულითა და სიკეთით აღსავსე, ახლობლებზე და მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული, მაგალითის მიმცემი პიროვნება და მოქალაქე, მაღალი სულიერების ვაჟკაცი

ქართლოს ჭუმბურიძე

ჯუმბურიძეთა საგვარეულო კავშირი თანაგრძნობას უცხადებს მეუღლეს ნანას, ძმას კახას, ბიძას ზურაბს, სანათესაოს და სამეგობროს.

◎ სიახლე

2030 წელს იაპონიაში ყოველი მეათე მანქანა წყალბადზე იმუშავებს

იაპონიაში წყალბადის ძრავზე მომუშავე მსოფლიოში პირველი ავტომობილის გაყიდვები დაიწყო. იაპონური კომპანია Toyota-ს მიერ გამოშვებულ ახალ მოდელს Mirai ერქმევა, რაც იაპონურად „მომავალს“ ნიშნავს. მანქანის ელექტროძრავისთვის ენერგია წყლისა და ჟანგბადის რეაქციის შედეგად გამომუშავდება. მას ექნება წყალბადის ორი ავზი, რომელიც სრულად აივსება 3 წუთში. ოთხადგილიანი სედანის სიგრძე — 4 870 მმ, სიგანე — 1810 მმ, სიმაღლე კი 1 535 მმ იქნება.

Toyota-ს წარმომადგენელთა განცხადებით, იაპონიაში წინასწარი შეკვეთების რაოდენობამ იმდენად გადააჭარბა მოსალოდნელ პროგნოზს, რომ 2015 წლის ბოლოსთვის კომპანია 162 მილიონ დოლარს დახარჯავს წყალბადის ძრავზე მომუშავე ავტომობილების წარმოებაზე. პირველ ეტაპზე იაპონური კონცერნი 700 ავტომობილს გამოუშვებს, რომელთაგან 400 ადგილობრივ ბაზარზე იქნება ხელმისაწვდომი, 200 — ამერიკულ ბაზარზე, 100 მანქანა კი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაიყიდება. თუმცა, მოთხოვნიდან გამომდინარე, Toyota-ში აცხადებენ, რომ ახალი სედანის რაოდენობას მომავალი წლისთვის 2 100-მდე გაზრდიან. 2017 წლისთვის კი ავტოკონცერნი აშშ-ის ბაზარზე 3 ათასზე მეტი Mirai-ს გატანას გეგმავს.

რაც შეეხება მომავალ გეგმებს, კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, უახლოეს წლებში წყალბადზე მომუშავე ავტომობილების რაოდენობა გაცილებით გაიზრდება და 50 ათასს მიაღწევს 2020 წლისთვის, როდესაც ტოკიო ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. 2030 წელს კი იაპონიაში ყოველი მეათე მანქანა წყალბადზე იმუშავებს.

„Mirai“-ში ბევრი რევოლუციური ტექნოლოგიაა გაერთიანებული და ამიტომ საბოლოო ეტაპზე თითოეული მანქანის აწყობა ძალიან ფრთხილად უნდა მოვახდინოთ“, — განაცხადა რამდენიმე კვირის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე „ტოიოტას“ აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა მიცუისა კატომ.

ახალი სედანის ღირებულება იაპონიაში 60 ათას დოლარს შეადგენს. ამასთან ერთად, ხელისუფლებამ 17 ათასი დოლარი გამოუყო თითოეულ მომხმარებელს სუბსიდიის სახით. გარდა ამისა, წყალბადზე მომუშავე ავტომობილის მფლობელებს კომპანია Toyota გზაზე 24-საათიანი დახმარების აღმოჩენასა და ელექტროძრავზე 8-წლიან გარანტიას სთავაზობს.

დღესასწაული

სასწაულმოქმედი ნიკოლოზი



19 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ნიკოლოზობას დღესასწაულობს.

...წმინდა სასწაულმოქმედი ნიკოლოზი საქართველოს მფარველია. ამ სამიოდე წლის წინათ მთელი საქართველო (და არა მარტო ჩვენი სამშობლო) მოწმე გახდა მისი სახის გამოსახვისა სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში — სასწაულმოქმედი, მირონ-ლუკიის შემამკობელი, წმინდა მღვდელმთავარი მაშინ გამოისახა ერთ-ერთ კედელზე, როცა იქ მირონი იხარშებოდა. მაშინ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანა ეს ფაქტი საქართველოსთვის სიკეთის მომასწავებელიაო.

დღეს მინდა მოგითხროთ წმინდა ნიკოლოზის ნიშასთან არსებულ ფრესკასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ეპიზოდის შესახებ, რომელიც დიდუბის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კედელზეა გამოსახული (წინა წერილში ვაჭარი და მისი ქალიშვილები იყვნენ მოხსენიებული):

...თურმე მეფემ ყალბი ბრალდებით სამ დიდებულს სიკვდილი მიუსაჯა. მათ წმინდა ნიკოლოზის სასწაულები გაიხსენეს და წმინდანს გამოქომაგება სთხოვეს. წმინდანმა ილოცა, მეფეს სიზმარში გამოეცხადა და დიდებულთა განთავისუფლება უბრძანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასჯით დაემუქრა.

„ვინ ხარ, რომ ბრძანებას მიბედავ?“ — შეეკითხა მეფე.

„მე ნიკოლოზი ვარ, მირონის მთავარეპისკოპოსი“ — უპასუხა წმინდანმა. მეფემ ნაბრძანების ურჩობა ვერ გაბედა, საქმე ყურადღებით გაარჩია და დიდებულნი შესაფერისი პატივით გაუშვა.

საგულისხმოა, რომ წმინდა ნიკოლოზი ცდილობდა, ადამიანებს საიდუმლოდ დახმარებოდა, რათა მისი მადლიერნი არ ყოფილიყვნენ. წმინდა ნიკოლოზის ნაწილებიდან სამკურნალო მირონი გადმოდის.

P. S. **წმინდანის მოსახელეთ ვულოცავთ ნიკოლოზობას, შეეწიოთ მისი მადლი.**

გიული ლიპარტია

განცხადება-ანონსი

პარტია „ნეიტრალური საქართველო“, არასამთავრობო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატია, მასმედიასთან და საზოგადოებასთან კავშირი“ გიწვევთ „მრგვალ მაგიდაზე“. თემა: — „ტერორიზმი, ვაჰაბიზმი, სალაფიზმი, „ისლამური სახალიფო“ — საფრთხე რეგიონისა და საქართველოსთვის“.

ღონისძიება გაიმართება 2014 წლის 24 დეკემბერს, ოთხშაბათს, 13:00 საათზე, სასტუმრო „ვერე პალასში“.

„როგორ მომაბეზრე თავი!“

და კიდევ ექვსი ფრაზა, რომლებიც არ უნდა ვუთხრათ ბავშვს

არის გამოთქმები, რომლებსაც ყველა ჩვენგანი ზოგჯერ ეუბნება ბავშვებს. მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ამ ფრაზებს დავივიწყებთ და არასოდეს გამოვიყენებთ.

ალბათ, ბევრჯერ აღმოჩენილხართ მულტსირთულის სიტუაციაში: როდესაც ცალი ხელით აკეთებთ საჭმელს, მეორეთი აუთოებთ თეთრეულს, ამ დროს კი ბავშვი ყურს გიჭედავთ შეკითხვებით, რას ჭამს ზაზუნა, თავი კი (ან ზურგი) აუტანლად გტკივათ. ასეთ მომენტებში ჩვენ ყველაზე ნაკლებად ვაკონტროლებთ ჩვენი სიტყვების ნაკადს, რომელიც თავს დაატყდება ხოლმე სწორედ იმას, ვინც, როგორც ამბობე, ხელში მოგვხდა. და ყველაზე ხშირად ეს „სწორედ იმას“ — ჩვენი ბავშვები არიან. აი, რა შეიძლება მათ მოისმინონ.

1. „თავი დამანებე!“

და კიდევ წამოგვცდება ხოლმე: „როგორ მომაბეზრეთ ყველამ თავი!“ და ასე შემდეგ. დიახ, ზოგჯერ ჩვენ მართლა ასე ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ. მაგრამ თუ ნამეტანი ხშირად წარმოთქვამთ ამ ფრაზებს, ბავშვი ითვისებს ერთ რამეს: „არა აქვს აზრი მიმართო დედას, ვინაიდან ის ყოველთვის დაკავებულია ან დაღლილია“. შემდეგ, როდესაც წამოიზრდებიან, ბავშვებს არ ავიწყდებათ ასეთი უყურადღებობა და შეიძლება ეს შეახსენონ კიდეც მშობლებს.

რა უნდა ვქნათ?

აუხსენით ბავშვს, როდესაც სწორედ თქვენ აღმოგაჩნდებათ დრო, ეთამაშოთ, გაისეირნოთ მასთან ერთად. მაგალითად: „ახლა ძალიან დაკავებული ვარ, მომეცი 15 წუთი, და გიამბობ, თუ რას ჭამენ ზაზუნები“.

2. „როგორი ხარ...“

... და შემდეგ ნებისმიერი იარლიყი, რითაც დაუნდობლად ვაჯილდოებთ ბავშვს. მიაქციეთ ყურადღება, ვაფასებთ არა საქციელს, არამედ ადამიანს! ზოგჯერ ბავშვები შემთხვევით გვისმენენ, თუ რას ვეუბნებით გარშემომყოფებს მათ შესახებ. და ეს მეტად საწყენია. დაიმახსოვრეთ, რომ ნებისმიერი ეპითეტი ბავშვის მისამართით (ზარმაცი, უხეში, ფეთხუმი) შეიძლება თქვენს გამო წინასწარმეტყველური აღმოჩნდეს.

რა უნდა ვქნათ?

შეაფასეთ არა პატარა, არამედ მისი საქციელი. ის არაა ზარმაცი და არც ფეთხუმი, უბრალოდ დღეს რატომღაც ზარმაცობს და შემთხვევით ამოისვარა.

3. „ნუ ტირი, ნუ იქცევი, როგორც პატარა“

საინტერესოა, ვინ და როდის გამოაცხადა, რომ ცრემლები — სისუსტის ნიშანია და რომ „კარგი ბავშვები არ ტირიან“? როდესაც ვიზრდებით ამ განწყობით, ჩვენ ვსწავლობთ, არ ვიტიროთ, მაგრამ ამ დროს ვიძენთ ფსიქიკურ პრობლემებს. თუ არ ვიტირებთ, ჩვენ ხომ ვერ გავათავისუფლებთ ჩვენს ორგანიზმს სტრესის ჰორმონისგან, რომელიც ცრემლებთან ერთად გამოდის (გახსოვთ, სიმშვიდის შესანიშნავი გრძნობა ტირილის შემდეგ?).

იცით, რომ არ გვიყვარს, როდესაც ბავშვები ტირიან? იმიტომ, რომ არ ვიცით, როგორ დავეხმაროთ მათ. არავის უნდა შეიმეცნოს თავისი უძლურება. პატარას ცრემლებზე უკიდურესი რეაქცია (სხვათა შორის, ეს მშობლის სისუსტის რეალური ნიშანია) — ესაა ფიზიკური ზემოქმედება. სტანდარტული რეაქცია — ესაა აგრესია, დამუქრება, დარიგება, დაშინება, უგულებელყოფა. სასურველია სიტუაციის ნეიტრალიზაცია, მაგრამ ამისთვის თავდაპირველად უნდა ამოიცნო მიზეზის ფესვი.

რა უნდა ვქნათ?

გათავისუფლდით ჩვევისგან — დათრგუნოთ ბავშვის ემოციები და შეარცხვინოთ იგი ცრემლების გამო.

4. „ცოტა დაიცადე, მამა მოვა სახლში და...“

ასეთი ფრაზები დამახასიათებელია ბებიასა და დედისთვის, როდესაც ცდილობენ, გონებაში ჩააგდონ გაუგონარი ბავშვი. ამ დროს პატარას ორი გრძნობა უყალიბდება. პირველი — ესაა ავტორიტეტის სრული მოშლა „სუსტ რგოლთან“ დაკავშირებით, რომელიც სხვა ნათესავებს ემუქრება. და მეორე — შიში ამ „სხვა ნათესავის“ წინაშე, ნევროზისკენ მიმავალ პირდაპირ გზაზე.

რა უნდა ვქნათ?

თავად გავართვათ თავი საქმეს. არის ბევრი ხერხი დავამშვიდოთ ბავშვი: დამტუქსავი შეხედვა, მისი ყვირილის მდუმარე უგულებელყოფა, მშვიდი ახსნა, თუ რატომ არ შეიძლება ასეთი ქცევა... აირჩიეთ, რომელი უფრო მეტად აჯობებს.

5. „აბა სწრაფად!“

ამ გავრცელებულ ფრაზას ზოგიერთი მშობელი უმატებს თითების კაკუნს, თვალების ბრიალს და ნერვულ კანკალს. რასაკვირველია, ჩვენ ვღიზიანდებით, როდესაც ბავშვები დიდხანს და უნიჭოდ იკრიჭებიან, მოუხერხებლად იკრავენ ფეხსაცმელებს ან იცვამენ კოლგოტებს. მაგრამ გაღიზიანების რეაქციით თქვენ ბავშვში მხოლოდ დამნაშავის გრძნობას იწვევთ. დანაშაული თრგუნავს ფსიქიკას და არანაირად უბიძგებს იმისკენ, რომ მოქმედებები შესრულდეს უფრო სწრაფად.

რა უნდა ვქნათ?

ბავშვთან ურთიერთობისთვის გამოყავით მეტი დრო, ეცადეთ, დაიცვათ მშვიდი ტონი.

6. „საუცხოოდაა გაკეთებული!“

თითქოსდა, რა არის ცუდი შექებაში? როდესაც პატარის მოქმედებას ვუმყარებთ სიტყვიერი წახალისებით, ჩვენ ვუბიძგებთ ბავშვს შემდგომი წახალისებისკენ. მაგრამ, თუ ამ ფრაზით თქვენ უწონებთ ბავშვის აბსოლუტურად ყველა მოქმედებას — დაწყებული შეჭმული ფაფის თეფშით და დამთავრებული დახატული სურათით — შექება უფასურდება და საერთოდ აღარაფერსაც აღარ ნიშნავს.

რა უნდა ვქნათ?

ეცადეთ, შეაქოთ თქვენი პატარა მხოლოდ იმ მიღწევებისთვის, რომლებიც რეალურ ძალისხმევას მოითხოვენ.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში არის უამრავი ფრაზა, რომლებსაც შემთხვევით წამოვისვრით გაუფრთხილებლობით, ფრაზები, რომლებიც შეიძლება ხარვეზებად იქცეს. ვისწავლოთ, რომ ასეთი რამ არ დავუშვათ.

დარია ჟმუროვა,
ფსიქოლოგი

ИЗДАТЕЛЬСКИЙ ДОМ ЖУРНАЛА ЗДОРОВЬЕ

გამოიცა

გამომცემლობა საზოგადოება „ცოდნამ“ გამოსცა პოეტ ვახტანგ გოგიჩაიშვილის ლექსებისა და ნოველების კრებული „ანთებული კვარი“.

კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

საკანში პატიმარი ტირის.

— რა ატირებს? — ეკითხება ციხის ერთი თანამშრომელი მეორეს.

— ყურძენი მინდაო.

— როზგები არ უნდა?

— ვსინჯეთ, მაგრამ მაინც ტირის.

* * *

სწრაფად მიმავალი ველოსიპედისტი გზაჯვარედინზე მამაკაცს დაეჯახა. ორივენი წაიქცნენ.

— ძალიან გაგიმართლა, ძმაო, — ეუბნება ველოსიპედისტი.

— გამიმართლა? კინაღამ დამაინვალიდე და მაინც გამიმართლა? ყველაფერი მტკივა!

— რომ გეუბნები გაგიმართლა-მეთქი, დამიჯერე. შენი ბედი, რომ ახლახან მართვის მოწმობა ჩამომართვეს, თორემ მისაბმელიანი სატვირთოს მძღოლი ვარ.

* * *

ზედმეტი კილოგრამების დაკარგვა სულაც არ მიჭირს, მაგრამ მერე მათ მუდამ მაცივარში ვპოულობ ხოლმე.

* * *

— ეი, მამაკაცო! მოაშორეთ თქვენი აზრები ჩემს სხეულს!

* * *

პროფესორი რამდენიმე წლის წინათ უმაღლეს დამთავრებულ თავის ნასტუდენტარს შეხვდა.

— გყოფნით უმაღლესში მიღებული ცოდნა?

— ცოდნა მყოფნის, ხელფასი კი — არა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24